პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა
2 ივნისი
1940 წ.
№ 125 (5826)
ფასი 10 კაპ.

პარტიული კონტროლი და შესრულების შემოწმება

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებით საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მიენიჭათ ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება. საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობისათვის კონტროლის გაწევის უფლება უძლიერესი იარაღია საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა ხელში. ამ შესანიშნავი იარაღის უნარიანად გამოყენებამ დიდად შეუწყო ხელი პარტორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებას, დაუახლოვა ისინი საწარმოებს, მეურნეობებს, გააძლიერა კომუნისტების პასუხისმგებლობა გეგმების შესრულების საქმეში. პარტორგანიზაციებმა გააჩაღეს ბრძოლა სახელმწიფოს მიერ მოცემული გეგმების შესრულებისათვის, ხელგაშლილობის, უყაირათობისა და დაუდევრობის აღმოსაფხვრელად.

საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის დედაარსი მდგომარეობს პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეთავსებაში. იქ, სადაც პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა უნარიანად შეათავსეს სამეურნეო საქმიანობასთან, მიღწეულ იქნა შესანიშნავი წარმატებანი.

საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალმა პარტიულმა ორგანიზაციამ წარმატებით გაატარა ცხოვრებაში კონტროლის უფლება და თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა გეგმების შესრულების საქმეში. მაგრამ, როგორც შემოწმება გვიჩვენებს, ცალკეული პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საწარმოს ადმინისტრაციის საქმისადმი კონტროლის ნამდვილად გატარებას.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია კონტროლის გაწევის უფლებას სათანადოდ არ იყენებს, გულდასმით არ სწავლობს წინასწარ საწარმოს მტკივნეულ მხარეებს, არ აბამს ამ საქმეში მთელ პარტიულ ორგანიზაციას, არ ცდილობს გამოიყენოს ქარხნის (ფაბრიკის, მეურნეობის) ბოლშევიკების — პარტიულებისა და უპარტიოების მდიდარი გამოცდილება. ასე იქცევა, მაგალითად, თბილისის რადიო-ტელეგრაფის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. აქ წინასწარ არ ემზადებიან ადმინისტრაციის მუშაობის საკითხის განხილვისათვის, არ სწავლობენ საკითხებს, კმაყოფილდებიან კვარტალური გეგმის შესრულებისა და მომავალი ამოცანების შესახებ დირექტორის საერთო მოხსენებით.

თვითეული პარტორგანიზაცია ღრმად უნდა შეიჭრას საწარმოო მუშაობის ყველა დარგში, ჩასწვდეს, ყველა წვრილმანს, დაინახოს მუშაობის მტკივნეული მხარეები, სავსებით დაეუფლოს საწარმოს მთელ ეკონომიკას. მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ნამდვილად გაუწიოს კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობას, გამოააშკარაოს მისი მუშაობის ნაკლოვანებანი, დაეხმაროს შემჩნეულ ნაკლთა გამოსწორებაში. ასე ვერ იქცევა თბილისის კამოს სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაცია. აქ რატომღაც საჭიროდ არ სთვლიან პარტიული კონტროლის განხორციელებაში ჩააბან მთელი პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი. სამეურნეო საკითხებს უმთავრესად პარტბიუროს სხდომაზე ისმენენ, პარტიულ კრებებზე იშვიათად გამოაქვთ განსახილველად ქარხნის მუშაობის ცალკე საკითხები. პარტბიუროს სხდომებზე მოსმენილ საკითხებზე ზოგჯერ გამოაქვთ ზოგადი დადგენილებანი. მიმდინარე წელს პარტიულ კრებაზე ერთხელ (31 იანვარს) მოისმინეს დირექტორის მოხსენება ქარხნის მიერ საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ. საკითხი მომზადებული არ იყო წინასწარ. კამათში მხოლოდ ორი კაცი გამოვიდა. კრებას პრაქტიკული ღონისძიებები არ დაუსახავს, მხოლოდ გამოჰყვეს კომისია ღონისძიებათა შესამუშავებლად და... ამით გაათავეს.

იქ, სადაც ბოლშევიკურად ვერ შეათავსეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და სამეურნეო საქმიანობა, კონტროლი ადმინისტრაციის მიმართ მხოლოდ დავალებების მიცემით შეცვალეს. ასე მოსდის, მაგალითად, მაკარონის ფაბრიკის პარტორგანიზაციას. აქ პარტიული კრებების ოქმებში ხშირად ნახავთ ასეთ პუნქტებს: „დაევალოს დირექტორს..." „წინადადება მიეცეს დირექციას..." „დაევალოს მომარაგების განყოფილების გამგეს..." და ა. შ., ხოლო იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს თვით პარტიულმა ორგანიზაციამ, როგორი პოლიტ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობა ჩაატარდეს, რა უნდა გააკეთონ ადმინისტრაციისათვის დახმარების გასაწევად, — დადგენილებებში თითქმის არაფერი სწერია.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ცუდად როდი ატარებს კონტროლს, წინასწარ ამზადებს საკითხებს, ისმენს ადმინისტრაციის მოხსენებას, სახავს სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებებსაც, მაგრამ ყოველივე ეს სასურველ ეფექტს მაინც ვერ ახდენს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ნაკლებად იბრძვიან მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის, სუსტად არის დაყენებული გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და დასახული ღონისძიებების შესრულების შემოწმება. ნაკლები ყურადღება ექცევა გამოტანილი დადგენილებების შემოწმებას. მაგალითად, სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის, თბილისის № 1 ტყავის ქარხნის, რადიო-ტელეგრაფის ქარხნის და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებში. აღნიშნული პარტორგანიზაციები მარტო დადგენილებების გამოტანით კმაყოფილდებიან და აღარ ზრუნავენ მათი შესრულების შემოწმებაზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ დადგენილების გამოტანა, ღონისძიებათა დასახვა საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია ბრძოლა მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, შესრულების სისტემატური შემოწმება. იმის შემდეგ, რაც მოცემულია სწორი გადაწყვეტილება, — როგორც ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის, — საქმის წარმატება დამოკიდებულია ორგანიზაციულ მუშაობაზე, დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაზე, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე. ბელადის ეს მითითება ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს პარტიულმა ხელმძღვანელმა.

პარტორგანიზაციის მიერ კონტროლის განხორციელება უნდა დაეხმაროს სამეურნეო მუშაკებს, აამაღლოს მათი ავტორიტეტი. კონტროლი გავუწიოთ ადმინისტრაციის საქმიანობას — ნიშნავს პარტიული კოლექტივის მთელი ძალებით, მთელი გამოცდილებით დავეხმაროთ სამეურნეო მუშაკს, ვასწავლოთ მათ, სწორად წარვმართოთ მათი მუშაობა, ვუხელმძღვანელოთ საწარმოს, მეურნეობის მუშაობას არა ხელმძღვანელის (დირექტორის) გარეშე, არამედ მხოლოდ მისი მეოხებით. ამავე დროს საწარმოთა (საამქროების) პარტორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ოსტატის — წარმოების ამ ძირეული მეთაურის — ავტორიტეტის ამაღლებას, დაეხმარონ მას შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, საწარმოო პროცესის სწორად დაყენებაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ კონტროლის უფლების განხორციელება შეფასდება არა ჩატარებული კრებებისა და გამოტანილი დადგენილებების მიხედვით, არამედ გაწეული მუშაობის ფაქტიური შედეგების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუწყო ხელი კონტროლის გატარებამ საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებას, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის გადიდებას და ხარისხის გაუმჯობესებას. მთავარია — კონტროლი იყოს კონკრეტული და საქმიანი, მთავარია მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმება. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კონტროლის გატარებით მივაღწიოთ თვითეული საწარმოს ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის შეთანხმებულ მუშაობას, მთელი კოლექტივის შეხამებულ, ნაყოფიერ მუშაობას სახელმწიფოს მიერ მიცემული გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში

მოსკოვი, 31 მაისი (საკდესი). სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ნ. მ. რიჩკოვმა წინადადება მისცა ყველა სახალხო საოლქო და უმაღლეს სასამართლოს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულს. ავტოტრანსპორტზე მომხდარ ავარიათა შესახებ საქმე სასამართლოებმა უნდა განიხილონ ამ საქმის აღძვრის დღიდან ორი კვირის განმავლობაში. იმ ავარიათა საქმეები, რომლებსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, განხილულ უნდა იქნას საჩვენებელ პროცესის წესით.

— უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ბოროტ მეავარიეებთან, — აღნიშნულია შემდეგ სახალხო კომისრის ბრძანებაში. ბოროტი მეავარიეების მიმართ სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ სასჯელის დამატებითი ღონისძიებანიც, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებით—უნდა აუკრძალონ მეავარიეს ავტომანქანის წამყვანად მუშაობა და სხვ.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ავარია ავტომანქანის უვარგისობის შედეგად მოხდა, სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ კერძო განჩინება და პასუხისგებაში უნდა მისცენ ის პირნი, რომელთაც ბრალად ედებათ მანქანის ცუდი რემონტი ან გარაჟიდან შეუკეთებელი მანქანის გამოშვება.

სესხთა ტირაჟები ივნისში

ივნისში შესდგება ორი მორიგი ტირაჟი სსრ კავშირის სახელმწიფო საშინაო სესხებისა — სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხისა (11 და 12 ივნისს ქ. კრასნოიარსკში) და 1938 წლის სახელმწიფო საშინაო სესხისა (11 ივნისს ქ. მინსკში). (საკდესი).

რუსეთის სფსრ I-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე

სესიის მეოთხე სხდომაზე, რომელიც 31 მაისს საღამოს 6 საათზე გაიხსნა, გრძელდებოდა რუსეთის სფსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რუსეთის სფსრ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების განხილვა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: რუსეთის სფსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარმა მიკინმა, დეპუტატებმა: კოზირკოვმა, პავლოვმა, რევენკომ, ლაზარევმა, აბრამოვმა, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ტრეტიაკოვმა და რუსეთის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პეჭშევმა. (საკდესი).

ათიათასფუთოსან მყელავ მემანქანეთა წარმატება

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის აუზებში ასობით მოწინავე მაღაროელი ერთმანეთს ეჯიბრება იმისათვის, რომ თითო საყელავ მანქანაზე თვეში სულ ცოტა 10 ათასი ტონა ქვანახშირი გამოიმუშაოს. ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცნობები მოწმობენ, რომ მოყელვის საუკეთესო ოსტატებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს.

„სნეჟნიანანტრაციტის" (დონბასი) ტრესტის სტალინის სახელობის № 18 ორდენოსან შახტში, სადაც ათიათასფუთოსან მყელავ მემანქანეთა მოძრაობა აღმოცენდა, ყველაზე მაღალ შრომისნაყოფიერებას აპრილში მიაღწიეს სტახანოველებმა ამხ. კომარიჩევმა, სიმონოვმა და ლებედევმა. მათმა საყელავმა მანქანებმა თვის განმავლობაში 17.217 ტონა ქვანახშირი მოგვცეს. მაღალი იყო მათი ხელფასიც. ამხ. სიმონოვმა, მაგალითად, აპრილში 1.900-მდე მანეთი გამოიმუშავა. ამავე შახტში მემანქანეებმა ამხ. გილიუკმა, ორეხოვმა, ლიხმანმა და ოსკინმა აპრილში მოჰყველეს 16 ათასი ტონა ქვანახშირი.

„სტალინუგოლის" ტრესტის ჩელუსკინელთა სახელობის № 1 შახტის მოყელვის ოსტატებმა ამხ. დედიურმა და ზმეევმა აპრილში მოგვცეს 12.636 ტონა ქვანახშირი, 10 ათასზე მეტი ტონა მოგვცეს ამხ. გულმა და შელუდჩენკომ (№ 4-21 შახტი) პახნომ და სიდორკინმა (№ 5 შახტი), შპიცმა და ლომონოსოვმა (№ 2-7 შახტი).

სამაგალითოდ მუშაობენ ყარაგანდის ქვანახშირის აუზის სტახანოველი მყელავი მემანქანეები. მარტში მაღაროელმა ამხ. ჟელკუბაევმა (№ 1 შახტი) მოჰყელა 13 ათასზე მეტი ტონა ქვანახშირი და 1.100 მანეთი გამოიმუშავა, ამხ. სტეპანოვმა (№ 18 შახტი) მოჰყელა 12.695 ტონა ქვანახშირი.

კუზბასში მაღალი გამომუშავებით გამოირჩევიან ამხ. ტუტუბალინი, რომელმაც მარტში მოგვცა 13.450 ტონა, და ეგოშინი — 12 ათასზე მეტი ტონა ქვანახშირი. „კიზელუგოლის" (ურალი) მყელავ მემანქანეთა შეჯიბრებაში ყველაზე მაღალი ნაყოფიერება აპრილში მოგვცეს მყელავმა მემანქანეებმა ამხ. კოროვინმა, ზუბკოვმა, პაცუკმა და ფადეევმა.

მაგრამ ქვანახშირის კომბინატებსა და ტრესტებში ყველგან როდია შექმნილი ყველა პირობა ათიათასფუთოსან მყელავ მემანქანეთა შეჯიბრების განვითარებისათვის. მაგალითად, „ვოროშილოვგრადუგოლის" კომბინატში აპრილში არცერთი ათიათასფუთოსანი არ ყოფილა. (საკდესი).

ბავშვთა შემოქმედების სრულიად-საკავშირო ოლიმპიადისათვის მზადება

მოსკოვი, 31 მაისი (საკდესი). პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა ბავშვთა შემოქმედების სრულიად - საკავშირო ოლიმპიადის მომზადებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

პროფკავშირთა ცენტრალურ, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს წინადადება მიეცათ შემმოწმებელ კომისიებთან ერთად მოაწყონ ბავშვთა შემოქმედების კოლექტივების მუშაობის შემოწმება კლუბებთან, კულტურის სახლთან და წითელ კუთხეებთან. საუკეთესო კოლექტივები და სოლისტები გამოყოფილ უნდა იქნან საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საჩვენებლად.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველგვარი პირობები უნდა შექმნან ბავშვთა შემოქმედების სრულიად - საკავშირო ოლიმპიადის მონაწილეთა გულდასმით მომზადებისათვის — უნდა შეარჩიონ კვალიფიციური ხელმძღვანელები, დაამზადონ კოსტიუმები და სხვ.

სტახანოველ ტ. ცინცაძის რეკორდი

ჩაქვი, 31 მაისი. ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველმა ტანია ცინცაძემ 30 მაისს 18 კილოგრამის ნაცვლად 301 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა და დღიური ნორმა 1.678 პროცენტით შეასრულა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. თოხაძე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

თამბაქოს მოსავლის მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი 31 მაისი (საკდესი). სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის მეთამბაქოეთა სტახანოვური მოძრაობის ინიციატორმა, ევდოკია სერგის ასულმა ოდკიდაჩმა (სოფელი მიხაილოვსკოე, სევერსკის რაიონი, კრასნოდარის მხარე). შარშან ამხ. ოტკიდაჩმა ჰექტარზე 255 ფუთი თამბაქო მოიყვანა და ამით მოსავლიანობის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

პალადიჩის სახელობის კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაციებში, სადაც ამხ. ოტკიდაჩი მერგოლურად მუშაობს, მოჰყავთ ერთერთი საუკეთესო ჯიშის თამბაქო „ტრაპიზონი". წარჩინებული სტახანოველის რგოლმა მოხერხებულად გამოიყენა მოწინავე აგროტექნიკა და მიაღწია ამ ჯიშის თამბაქოს უმაგალითო მოსავლიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ოტკიდაჩი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მეთამბაქოე დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

ამხ. ოტკიდაჩის მიღწევები ფართოდ არის ნაჩვენები გამოფენის პავილიონში—„ტექნიკური და სამკურნალო მცენარენი".

○

დღიდან გახსნისა სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა დაათვალიერა 600.000-ზე მეტმა კაცმა. ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს მთავარ პავილიონს, მექანიზაციის პავილიონს, უკრაინისა და შორეული აღმოსავლეთის პავილიონებს. 31 მაისამდე შორეული აღმოსავლეთის პავილიონი უნახავს დაახლოებით 300 ათას კაცს.

გამოფენას ყოველდღე მოსდის ახალ-ახალი ექსპონატები. ახალი ხილი, კენკრა და ბოსტნეული ჩვენი ქვეყნის უშორესი რაიონებიდან თვითმფრინავებით მოაქვთ. ყირიმიდან აეროფოსტით ჩამოიტანეს ახალი კიტრი და ახალი მოსავლის ბერძნული ყაბაყი.

უკრაინის პავილიონს შეემატა მოლდავეთის ასსრ სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან გამოგზავნილი შემოდგომის ხორბლის, ჰვავის, ქერის, სიმინდისა და ფეტვის ახალი ძნები.

გამოფენა ემზადება ი. ვ. მიჩურინის გარდაცვალების მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად, რაც 7 ივნისს სრულდება.

სანადირო ბილიკის მახლობლად, გუბურასთან, ერთერთ კოლიერში მოთავსებულია ფრთოსანი მტაცებელი ფრინველი—ფსოვი „აკ-გიკი". რომელიც გამოფენაზე ჩამოიყვანა ცნობილმა ყაზახმა მონადირემ ესტაუტენბერგენოვმა, „აკ-გიკი" გამოფენის მნახველთა აოცებს თავისი სიდიდით. იგი ფრთებს ორ მეტრზე შლის. ამხ. უტენბერგენოვმა აღნიშნა, რომ მისმა ფსოვმა ამ უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში დაიჭირა 9 მგელი, 68 მაჩვი და 154 მელა. (საკდესი).

ოთხი ტონა ხორცი წელიწადში ერთი დედალორის ნამატიდან

ვოლოგდის ოლქის მეჟდურეჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბუდენოვეცის" მეღორეობის სასაქონლო ფერმა შესანიშნავ ექსპონატებს უჩვენებს სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მეცხოველეობის ქალაქში. გამოფენის მეღორეობის პავილიონში წარმოდგენილია კოლმეურნეობის დიდი თეთრი ინგლისური ჯიშის დედალორი — რეკორდისტი „იალტა" და მისი ნამატი—31 გოჭი. პირველად „იალტამ" 14 გოჭი დაჰყარა, მეორედ—17 გოჭი.

სტახანოველი მეღორე ქალი ამხ. ლიუსკოვა, რომელიც „იალტასა" და მის ნამატს უვლის, საკოლმეურნეო ფერმაში 6 წელია მუშაობს. ღორების კვების გაუმჯობესებული მეთოდებით მან შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. პირველი ნამატის გოჭები ახლა, დაახლოებით 9 თვის ასაკში, თითქმის 2 ტონას იწონის, მეორე ნამატის გოჭები, 3,5 თვის ასაკში, —დაახლოებით 800 კილოგრამს. პირველად დაყრილი გოჭის საშუალო სადღეღამისო მატება წონაში 900-1000 გრამს უდრის, მეორე ნამატისათვის 500-600 გრამს.

ამხ. ლიუსკოვამ ამოცანად დაისახა მიმდინარე წლის 30 აგვისტოსათვის—იმ დროისათვის, როდესაც პირველად დაყრილი გოჭები ერთი წლისა გახდებიან, მიაღწიოს მთელი ნამატის სარეკორდო წონას—4 ტონას. (საკდესი).

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. თურქმენეთის სსრ პავილიონი.

ამუშავდა პეროქსიდის ქარხანა

ჭიათურა, (საქდესი). ამუშავდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სიამაყე—პეროქსიდის ქარხანა, რომელიც აგებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ქარხნის მშენებლობა 1938 წელს დაიწყო. მისი მთელი მოწყობილობა საბჭოთა კავშირშია დამზადებული.

გასაუხვებელ მარგანეცს ქარხანა ვა. მიიღებს ს. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროდან, რომელთანაც იგი დაკავშირებულია მავთულის საჰაერო გზით.

უკვე ამუშავების პირველ დღიდანვე ქარხნის კოლექტივი დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და გეგმის გადამეტებით საათში 8 ტონა მაღალხარისხოვან პეროქსიდს იძლევა.

გეგმები შესრულებულია

წითელწყარო. წითელწყაროს რაიონმა მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე, 100 პროცენტით შეასრულა თამბაქოს დარგვის გეგმა.

○

ოჩამჩირე. ოჩამჩირის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა. ნაცვლად 557 ტონისა, მოჰკრიფა 560 ტონა ფოთოლი.

○

ჩაქვი. ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა 100,5 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილია 458.213 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. აქედან 89,1 პროცენტი პირველი ხარისხისა.

○

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ხულოს რაიონმა (აჭარის ასსრ) შეასრულა თამბაქოს დარგვის გეგმა, — თამბაქო დარგო 380 ჰექტარზე. თამბაქოს რგვის გეგმა ვადამდე შეასრულეს სოფ. ახალდაბის ლენინის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებმა.

„სახალინუგოლის" ტრესტის მუშაკთა დაჯილდოება

ჩრდილოეთ სახალინის განთავისუფლებისა და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XV წლისთავის აღსანიშნავად, ნახშირის მრეწველობის განვითარების დარგში მიღწეულ წარმატებათათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „სახალინუგოლის" ტრესტის 32 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია „აგნევოს" შახტის მნგრეველი გ. ქ. გორდეევი და „მგაჩის" შახტის გამგე ა. ა. კუქელევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია „არკოვოს" შახტის გამთხრელი პ. მ. გოი, „აგნევოს" შახტის უბნის უფროსი პ. ტ. კოლესნიკოვი, „ოქტიაბრსკაიას" შახტის უბნის უფროსის თანაშემწე პ. ა. ჩუდაევი, „სახალინუგოლის" ტრესტის მმართველის მოადგილე ქ. ტ. შჩერბაკოვი და „ოქტიაბრსკაიას" შახტის გამთხრელი ვ. ი. იურიანი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 9 კაცი, მათ შორის — „სახალინუგოლის" ტრესტის ყოფილი მმართველი ქვანახშირის მრეწველობის სახკომის მოადგილე ე. ტ. აბაკუმოვი, „არკოვოს" შახტის მნგრეველი პ. ფ. ბეკეშკო, „ოქტიაბრსკაიას" შახტის გამთხრელი გ. მ. სანიკოვი.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"** დაჯილდოებულია 7 კაცი და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 9 კაცი. (საკდესი).

შტანგისტი იაკობ კუცენკო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონია

დამთავრდა შტანგისტთა სრულიად - საკავშირო შეჯიბრება

მინსკი, 31 მაისი (საკდესი). გუშინ მინსკში დამთავრდა შტანგისტთა სრულიად - საკავშირო შეჯიბრება, რომელმაც 3 დღეს გასტანა. ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა სიმძიმის 223 საუკეთესო ამწევი — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების 33 გუნდი.

სსრ კავშირის საგუნდო პირველობა პირველ ჯგუფში კვლავ მოიპოვეს კიეველმა სიმძიმის ამწევებმა. მეორე ჯგუფში გაიმარჯვა ყირიმის ასს რესპუბლიკის გუნდმა.

დასასრულს შესდგა შეჯიბრების მონაწილეთა პარადი, რომლის შემდეგ გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ ჯილდოები და სიგელები.

სსრ კავშირის 1940 წლის ჩემპიონის სახელწოდება მიენიჭათ მიტროფანე კოსარევს (უმსუბუქესი წონა), გიორგი პოპოვს (ნახევარმსუბუქი წონა), ნიკოლოზ შატოვს (მსუბუქი წონა), გრიგოლ ნოვაკს (საშუალო წონა), ალექსანდრე ბოჟკოს ნახევარ-მძიმე წონა) და იაკობ კუცენკოს (მძიმე წონა).

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ლენტი მოიპოვა ჩვენი ქვეყნის პირველობის შეჯიბრებაში არაერთხელ გამარჯვებულმა იაკობ კუცენკომ.

შეჯიბრების დროს გ. ნოვაკმა ორი ხელით აჭიმვაში გვიჩვენა შედეგი, რომელიც აღემატება ეგვიპტელ ტოუნის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს—117,5 კილოგრამს (ნოვაკის მიღწევაა 125,3 კილოგრამი). შტანგისტებმა ამბარცუმიანმა, შატოვმა და იაკოვლევმა 3 ახალი სრულიად - საკავშირო რეკორდი დაამყარეს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 1 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის მთავარი ბანაკის შემდეგს ცნობას:

„საფრანგეთის არმიის უკანასკნელი ნაწილების წინააღმდეგობა, რომლებიც გარემოცული არიან ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში, დაძლეულია. მხოლოდ ლილის რაიონის გაწმენდის დროს წამოყვანილია 26 ათასი ტყვე. მიუხედავად მტრის წინააღმდეგობისა, ინგლისის საექსპედიციო კორპუსის ნაშთების წინააღმდეგ შეტევა, წარმატებით ხორციელდება დიუნკერკის ორივე მხარეს. 31 მაისს არახელსაყრელმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა ხელი ვერ შეუშალეს გერმანიის ავიაციას სახმელეთო ჯარების ოპერაციებს დახმარებოდა და წარმატებით დაეშინა ყუმბარები მტრის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც დიუნკერკში გემებზე სხდებოდნენ. ჩაძირულ იქნა ხუთი ტრანსპორტი, ხოლო მტრის სამ კრეისერს თუ საესკადრო ნაღმოსნებს და 10 სავაჭრო გემს 70 ათას ტონა საერთო წყალწყვით მძიმე ზიანი აქვთ მიყენებული. სატორპედო კატარღების ფლოტილიამ ჩაძირა მტრის საესკადრო ნაღმოსანი და წყალქვეშა ნავი. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ნაღმით ჩასძირა ოსტენდეს მახლობლად მტრის სამხედრო გემი. 30 მაისს კასელთან ინგლისის ჯარების განადგურების დროს ხელთ ვიგდეთ ინგლისის 65 ტანკი. სამხრეთის ფრონტზე აბვილის რაიონში მტრის ტანკების ცდა გადმოსულიყვნენ შეტევაზე მარცხით დამთავრდა. კონტრიერიშების დროს გერმანიის ჯარმა ახალი ტერიტორიები დაიპყრო. აბვილის სამხრეთით გერმანიის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები ტყეებში განლაგებულ მტრის ნაწილებს. მტერი, რომელსაც ჯერ კიდევ ხელთ ეპყრა ხიდის ნაწილი ლე-შენის მახლობლად არდენის არხის ჩრდილოეთ ნაპირზე, უკუქცეულია არხს გადაღმა.

ნორვეგიაში ჩვენმა ჯარმა, რომელიც ტრონჰეიმიდან ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, დასძლია მტრის წინააღმდეგობა და წინ მიდის. ის ჯგუფი, რომელიც ნარვიკის მახლობლად მოქმედებდა, ფაუსკეს ჩრდილოეთით ინარჩუნებდა თავის პოზიციებს, მიუხედავად მტრის ძლიერი იერიშებისა. 31 მაისს მტერმა დაჰკარგა 49 თვითმფრინავი, აქედან 39 ჩამოგდებულია საჰაერო ბრძოლებში, 2 საზენიტო არტილერიის მიერ; გერმანიის 9 თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში არ დაბრუნებულა.

გერმანიის ცნობები საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 1 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს საომარი მოქმედების შემდეგს მიმოხილვას გერმანიის მიერ სამი კვირის მანძილზე დასავლეთში წარმოებული შეტევის შესახებ:

„ბელგიის არმიამ იარაღი დაჰყარა. გერმანიის ჯარი ბელგიის სანაპიროზე იმყოფება. საფრანგეთის 1-ლი, მე-7 და მე-9 არმიები განადგურებულია დიდი ბრძოლების შედეგად ფლანდრიასა და არტუაში.

საფრანგეთის სიმაგრეები, დაწყებული სანაპიროდან დიუნკერკის მახლობლად მონმედამდე დამსხვრეულია და გერმანელთა ხელშია. გერმანიის ახალი ფრონტი იწყება ლა-მანშის საფრანგეთის სანაპიროდან, აბვილის მახლობლად, შემდეგ მიჰყვება ზევით მდინარე სომის ნაპირებს და მდინარე უაზისა და ენის გასწვრივ მიდის მაასამდე, სედანის სამხრეთით. ამრიგად, გერმანიის ფრონტი 100 კილომეტრით მიუახლოვდა პარიზს. გერმანიის ავიაციას იერიში მიაქვს მტრის ზურგში, ყუმბარებს უშენს იმ ადგილებს, სადაც თავმოყრილია ჯარი.

მატერიკზე გადაგზავნილი ინგლისის საექსპედიციო კორპუსი მოსპობილია ფლანდრიაში. ხელში ჩაიგდო რა სრუტის ბელგიისა და საფრანგეთის სანაპიროები, გერმანიის არმია, სამხედრო - საზღვაო ფლოტი და ავიაცია კონტროლს უწევენ ამრიგად სრუტის ყველაზე უფრო ვიწრო ადგილს და ტემზის შესავალს. სრუტის სანაპიროებზე მდებარე ახალი ბაზებიდან გერმანიის ავიაციასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს შეუძლია წარმატებითი იერიშები აწარმოონ ინგლისის წინააღმდეგ.

ტვირთის გადასაზიდი უმთავრესი გზები და ბელგიიდან ჩრდილოეთ - საფრანგეთში მიმავალი რკინიგზის ხაზები გერმანიის ხელში არის. ამ გზების აღდგენა უზრუნველჰყოფს გერმანიის არმიის ჩრდილოეთი ფლანგის მომარაგებას საფრანგეთში. გერმანიის ხელში იმყოფება აგრეთვე ქვანახშირის უმნიშვნელოვანესი შახტები და სამრეწველო ცენტრები ბელგიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. გერმანიის ჯარმა მოახდინა საფრანგეთის ჩრდილოეთი არმიების იზოლაცია და გაანადგურა ისინი, მან გერმანიის საზღვარს დააშორა ფრონტი დასავლეთისკენ 300 კილომეტრზე მეტი მანძილით და ამჟამად ჩრდილოეთი საფრანგეთის სიღრმეში შეიჭრა.

ინგლისის ჯარი ჯერ კიდევ გვიწევს წინააღმდეგობას ზღვისპირა ზოლზე დიუნკერკსა და ნიეპორტს შორის. ამ ფრონტის განი დაახლოებით 45 კილომეტრს შეადგენს, ხოლო სიღრმე სულ დიდი 10 კილომეტრს. ინგლისის სარდლობა, როგორც სჩანს, ცდილობს გადაარჩინოს ადამიანთა რეზერვები და, გადაჰყავს რა ისინი გემებზე, სტოვებს იარაღსა და საჭურველს. გერმანელთა შეტევა კვლავ განახლდა ფიურნ-ბერგის ფრონტზე და დიუნკერკის დასავლეთით. ამ შეტევის მიზანია ინგლისის ჯარების ნაშთების განადგურება".

რეიტერის სააგენტოს განცხადება

ლონდონი, 1 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანელებმა საომარი მოქმედების რაიონში ფლანდრიაში თავი მოუყარეს დაახლოებით 40 დივიზიას, რომლებიც მექანიზებული ნაწილების დახმარებით მოქმედებენ. სააგენტო აღნიშნავს, რომ გერმანიის არმია მთლიანად როდი არის მექანიზებული, თუმცა მას ჰყავს მეტად ძლიერი ჯავშნსატანკო და მოტორიზებული დივიზიები.

„30 მაისს,—სწერს სააგენტო,—გერმანიის ნაწილებმა დაიწყეს ორი მთავარი იერიში მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ ფლანდრიაში — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ფიურნის რაიონში ნიეპორტის მიმართულებით და სამხრეთიდან — დიუნკერკის მიმართულებით. გერმანიის ამ იერიშებთან დაკავშირებით დაწყებულმა ბრძოლამ უმაგალითო გაფთრებას მიაღწია. გერმანელები მიდიოდნენ იერიშზე დიდი შენაერთებით და დიდად დაზარალდნენ. გერმანელები არ მოელოდნენ მოკავშირეთა ჯარის ესოდენ მედგარ წინააღმდეგობას ფლანდრიაში. იმ ტერიტორიის წყლით დაფარვამ, რომელიც დიუნკერკის გარშემო მდებარეობს, შესაძლებლობა მისცა მოკავშირეებს ამ რაიონში უკეთესად გაემაგრებინათ თავიანთი პოზიციები". სააგენტო აღნიშნავს, რომ ინგლისის ავიაციამ, რომელიც ძლიერ უშენდა გერმანელებს, დიდი დახმარება გაუწია მოკავშირეთა ჯარებს — დიუნკერკისაკენ მათი უკანდახევისა და შემდგომი ევაკუაციის დროს ფლანდრიიდან.

საჰაერო დესანტების გადასხმის საშიშროება ინგლისში

ლონდონი, 1 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ყოფილმა დესპანმა ჰააგაში ნევილ ბლენდმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. თავის სიტყვაში იგი მოუწოდებდა „მიღებულ იქნას ახალი ღონისძიებანი იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოელის ინგლისს გერმანიის „მეხუთე კოლონისაგან" და ჯარების გადამყვან თვითმფრინავებისაგან. უფრო დიდი საშიშროება მოგველის არა იმდენად პარაშუტისტებისაგან, რამდენადაც სატრანსპორტო თვითმფრინავებისაგან. ამ თვითმფრინავებმა გადასხეს ჰოლანდიაში რამდენიმე ათასი ჯარისკაცი ზარბაზნებითურთ. ჰოლანდიის ხელისუფლებას რომ სიფრთხილის საგანგებო ზომები არ მიეღო, ეს თვითმფრინავები ადვილად გადასხამდნენ ჰოლანდიის მთავარ გზებზე ათასობით ჯარისკაცებს, და საომარი ოპერაციები იქ 24 საათში დამთავრდებოდა". ბლენდმა აღნიშნა, რომ „დაუყოვნებლივ უნდა მიღებულ იქნას ყოველმხრივი ღონისძიებანი გერმანიის ჯარების გადასხმის საშიშროების წინააღმდეგ".

3 ივნისს, საღამოს 7 საათზე რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში შესდგება პარტკომკავშირული და პროფკავშირული აქტივის

საერთო - საქალაქო კრება

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან და მუშკორთა აქტივთან ერთად, მიძღვნილი

გაზ. „კომუნისტის" 20 წლისთავისადმი

კრების დასასრულს — დიდი მხატვრული საღამო

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

·საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

30-31 მაისი

ჩრდილოეთ საფრანგეთში ბრძოლა თავდება. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა ხდებოდა დიუნკერკის გამაგრებული ბანაკის გარშემო, მდინარე იზერის ნაპირებზე.

მოკავშირენი დიუნკერკის მისასვლელებზე მედგრად აჩერებენ შემტევ გერმანიის ჯარის ნაწილებს და ცდილობენ უზრუნველჰყონ ჩრდილოეთის დაჯგუფების ჯართა ევაკუაცია ზღვით.

გერმანელთა ცალკეული კოლონები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მოქმედებდნენ, შეერთდნენ პოპერინგ-კასელის ხაზის სამხრეთით და შეჰკრეს რკალი დიუნკერკისა და მისი მომიჯნავე რაიონის გარშემო. მოკავშირეთა სარდლობა ყოველ ზომას იღებს, რათა ჯარები იხსნას სრული განადგურებისაგან.

უკანასკნელი ცნობებით, მოკავშირეებმა გახსნეს რაბები დიუნკერკის გამაგრებული ბანაკის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. რაიონი გრაველინიდან სენტ-ომერამდე, აგრეთვე ნიეპორტიდან იპრამდე დაფარულია წყლით. გერმანიის ჯარის, განსაკუთრებით მოტორიზებული და ჯავშანსატანკო ნაწილების მოქმედება გაძნელებულია. დიუნკერკის რაიონში გარშემორტყმული ჯარების დასახმარებლად ინგლისელებმა გემები გაგზავნეს. გემების არტილერია ინტენსიური სროლით ცდილობს გააადვილოს დიუნკერკის გამაგრებულ ბანაკში ჩაკეტილი ჯარების მდგომარეობა. დიუნკერკისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე მოკავშირეთა ავიაცია, რომელსაც იერიშები მიაქვს გერმანიის ჯარზე.

ჩრდილოეთის დაჯგუფების გადარჩენილი ნაწილის ევაკუაცია შექმნილ პირობებში ადვილი საქმე როდია. მდგომარეობის შეცვლა შეეძლო საფრანგეთის ჯარის მძლავრ დარტყმას გერმანელთა ფლანგზე, მდინარე სომის მხრიდან, მაგრამ საფრანგეთის სარდლობამ არ მიმართა ამ ღონისძიებას, რაც მნიშვნელოვან რისკთან არის დაკავშირებული. ამრიგად, დასავლეთ ევროპის საომარი ასპარეზის ჩრდილოეთ უბანზე მოკავშირეთა მოქმედებას მთელი კამპანიის განმავლობაში თავდაცვითი ხასიათი ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივ მნიშვნელობის ცალკეულ კონტრიერიშებს. ამ გარემოებამ გერმანელებს საშუალება მისცა ხელთ ჰქონოდათ ინიციატივა ოპერაციის დაწყებიდან უკანასკნელ დღეებამდე. გერმანიის ჯარის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც წინათ ჩრდილოეთ საფრანგეთში და ფლანდრიაში მოქმედებდა, განთავისუფლდა და შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

მდგომარეობა ნარვიკის რაიონში ამ უკანასკნელ დღეებში მოკავშირეთა სასარგებლოდ შეიცვალა. ქალაქი მოკავშირეთა ჯარების ხელშია, რომლებიც დაეუფლნენ მას ოცდაოთხი საათის ბრძოლის შემდეგ. გერმანელთა ცნობებით, ისინი კვლავ ინარჩუნებენ რკინიგზას, რომელიც ნარვიკს შვეციის საზღვართან აერთებს. ორივე მეომარი მხარის ავიაცია განაგრძობს ინტენსიურად მოქმედებას.

ინგლისის საექსპედიციო არმიის მდგომარეობა

ლონდონი, 30 მაისი (საკდესი). ინგლისური პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისის საექსპედიციო არმია განსაკუთრებით ძნელ ვითარებაში იკაფავს გზას ზღვისაკენ მაშინ, როდესაც საფრანგეთის არმია ლილის რაიონში იცავს მის ზურგს. ინგლისური პრესა გაცხოველებით იხილავს საკითხს, თუ რატომ არ გადადიან ფრანგები კონტრშეტევაზე სამხრეთით, რათა შეუერთდნენ საფრანგეთისა და ინგლისის არმიების მოწყვეტილ ნაწილებს. „ნიუს ქრონიკლის" დიპლომატიური მიმომხილველი ვერნონ ბარტლეტი აღნიშნავს, რომ ვეიგანი არაფერს აკეთებს არმიის გადასარჩენად ჩრდილოეთში, — „იმიტომ, რომ მან უნდა შეამციროს თავისი დანაკლისი, რათა ომი მოიგოს. გერმანელთა კორიდორი მოკავშირეთა არმიებს შორის 20-30 კილომეტრზე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამის შესახებ წინათ იუწყებოდნენ. საფრანგეთის არმია ძლიერ ხირდაირია მას შემდეგ, რაც გერმანელებმა გარღვევა მოაწყეს სედანთან. ამის შედეგად გამელენი და 15 სხვა გენერალი მოხსნილია თავიანთი თანამდებობიდან, ხოლო რამდენიმე ათეული მოხელე გადაყენებულია იმის გამო, რომ ეფექტიური ზომები არ მიიღეს გერმანელ პარაშუტისტებთან ბრძოლისათვის. ვეიგანის წინაშე იდგა ძნელი ამოცანა — ხელახლა დაერაზმა არმია და განემტკიცებინა იგი ახალ თავდაცვით ხაზზე. ვეიგანმა თავდაცვისათვის აირჩია ხაზი მდინარე სომის გასწვრივ. იმისათვის, რომ ომი მოეგო, იგი უნდა დათანხმებულიყო ამ ბრძოლის წაგებაზე. ძლიერ კონტრშეტევასთან დაკავშირებული რისკი, როგორც სჩანს, მეტად დიდი იყო".

გაზეთ „ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: „იმათ, რომელნიც გაცნობილნი არიან ყველა ფაქტს, იციან, რომ საფრანგეთის სარდლობამ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა ამ ეტაპზე. მინისტრებმა იციან, რომ კონტრშეტევას წარმატების მოცემა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისათვის ჩრდილოეთში დახმარების გაწევა რომ შესძლებოდა, იგი უკვე მოწყობილი იქნებოდა".

ლონდონში ამტკიცებენ, რომ ბელგიაში არ დაუტოვებიათ თხევადი საწვავი მასალის არავითარი მარაგი. ფოლადის მრეწველობა განადგურებულ იქნა. ქვანახშირის შახტები ისე გაფუჭებული, რომ დიდ ხანს ვერ ამუშავდება. ზოგიერთი მათგანი წყლითაა წალეკილი.

ინგლისის ფლოტის ოპერაციები საფრანგეთის სანაპიროებთან

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, რომ, ლონდონში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობის თანახმად, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები ყოველგვარ დახმარებას უწევენ ინგლისისა და საფრანგეთის სახმელეთო ჯარებს, რომლებსაც მოქმედება უხდებათ მტრის მიძალების პირობებში ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე. ინგლისის სამხედრო გემების მიერ ქვემეხის დაშენის შედეგად გერმანიის შემტევმა ნაწილებმა მნიშვნელოვანი ზარალი ნახეს. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები განუწყვეტლივ, მთელი დღე და ღამე განაგრძობენ ოპერაციებს, მიუხედავად გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობისა, განსაკუთრებით ჰაერიდან.

ცნობაში უარყოფილია გერმანიის სამხედრო სარდლობის მტკიცება იმის შესახებ, ვითომ „ინგლისის სამხედრო-საზღვაო და სატრანსპორტო გემებს, რომლებიც საფრანგეთის სანაპიროს მახლობლად ოპერაციებს აწარმოებენ, მძიმე ზარალი მოსვლოდეთ". ცნობაში აღნიშნულია, რომ „ნამდვილად ამ ოპერაციების დროს დღემდე ჩაძირულია სამი საესკადრო ნაღმოსანი პატარა სატრანსპორტო გემი და აგრეთვე რამდენიმე მცირე დამხმარე გემი".

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 31 მაისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება:

„მაშინ, როცა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში მყოფი საფრანგეთის ჯარის ძირითადი მასა მოსპობილია ან ტყვედ წამოყვანილია, ზოგიერთ რაიონში კვლავ გვიწევენ წინააღმდეგობას მტრის დაფანტული და გარშემორტყმული ჯგუფები. ამ ჯგუფების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნება უახლოეს დროში. სანაპიროს გასწვრივ, ქალაქების—ფიურნისა და ბერგის რაიონში, აგრეთვე დიუნკერკის დასავლეთით, გრძელდება იერიშები ინგლისის ჯარის იმ ნაშთების წინააღმდეგ, რომლებიც არხებით დაცულ ადგილებში იმყოფებიან.

მოწინააღმდეგე მედგრად იცავს თავს და ცდილობს გემებზე გადაიყვანოს რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი. მოწინააღმდეგე სტოვებს მთელ სამხედრო მასალას. ინგლისის ჯარის ნაწილები, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ კასელის რაიონში, მოსპობილ იქნენ ჩრდილოეთისაკენ გაჭრის ცდის დროს.

არტუასა და ფლანდრიაში მოქმედი გერმანიის დივიზიების ძირითადი მასა ამჟამად განთავისუფლდა ახალი ამოცანებისათვის. ტყვეების რიცხვი და ნადავლის რაოდენობა ჯერჯერობით არ შეიძლება დაახლოებითაც კი იქნას გამორკვეული.

ავიაციის მოქმედება 30 მაისს შენელდა მეტეოროლოგიური პირობების გამო. მიუხედავად ამისა, კვლავ დავესხით თავს დიუნკერკის სანავსადგურო ნაგებობებს. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა იკისრა ჰოლანდიის სანაპიროს, აგრეთვე ბელგიისა და საფრანგეთის იმ სანაპიროს დაცვა, რომელიც გერმანელთა ხელშია.

გერმანიის ტორპედიანმა კატარღამ ბელგიის სანაპიროსთან ჩაძირა მოწინააღმდეგის საესკადრო ნაღმოსანი. 30 მაისს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები ჩრდილოეთ გერმანიის არასამხედრო ობიექტებს და უმნიშვნელო ზარალი მიაყენეს. სამხრეთ ჰოლშტაინში ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი. ჩრდილოეთ საფრანგეთში მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 3 თვითმფრინავი. სტავანგერის რაიონში ჩამოგდებულ იქნა ინგლისის ერთი თვითმფრინავი. გერმანიის 2 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა".

გენერალ პრიუს არმიის მდგომარეობა

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლის ცნობას; მან განაცხადა, რომ საფრანგეთის არმია, რომელსაც გენერალი პრიუ სარდლობს, გარშემორტყმულია ლილის მახლობლად და ცდილობს ბრძოლით გავიდეს ჩრდილოეთში, დიუნკერკისაკენ. წარმომადგენლის სიტყვით, არმიის მნიშვნელოვან ნაწილს საფრთხე აღარ მოელის, თუ მთების ხაზს გასცილდება. გერმანელთა მიძალების მიუხედავად, არმიის მეორე ეშელონი მთიან რაიონში ჩავიდა და ცდილობს ხაზის გარღვევას. არმიის ნაშთი, რომელიც საკმაოდ დიდი ნაწილებისაგან შესდგება, განაგრძობს ბრძოლას არიერგარდში.

საომარი მოქმედება საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო პარიზიდან იუწყება: „30 მაისს ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები აკავებდნენ მტრის იერიშს ფლანდრიის ფრონტის მეტწილ პუნქტში. მოკავშირეთა ჯარი თავის პოზიციებს ინარჩუნებდა მდინარე იზერის გასწვრივ, სხვა უბნებზე კი ნელნელა უკან იხევდა. დიუნკერკს მედგრად ვიცავთ. ამჟამად დიუნკერკის მახლობლად გახსნილია რაბები. ადგილი წყლით არის დაფარული".

შვეიცარიის გაზეთი საფრანგეთის არმიის უახლოესი მოქმედების შესახებ

პარიზი, 31 მაისი (საკდესი). შვეიცარული გაზეთების სამხედრო მიმომხილველებს საფრანგეთის სამხედრო მდგომარეობა ფრიად სერიოზულად მიაჩნიათ.

გაზეთი „ჟურნალ დე ჟენევი" სწერს: „ყველა კითხულობს: რატომ არ იწყებს ვეიგანი მძლავრ კონტრშეტევას ამიენიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, გერმანიის ჯავშანსატანკო და მოტორიზებული ჯარის კომუნიკაციების წინააღმდეგ. რატომ არ გადასჭრის ვეიგანი გერმანიის კორიდორს ამიენსა და არასს შორის, რაც მდგომარეობას განამტკიცებდა განაპირა დასავლეთში, გაათავისუფლებდა ჩრდილოეთის არმიას და ამის შედეგად ალყა შემოერტყმოდა გერმანიის ავანგარდებს?

პირველი ვარაუდი ასეთია, რომ ვეიგანმა ვერ შესძლო აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადაეყვანა საკმაო რაოდენობის ჯარი და გადაეტანა მასალა, რათა ეს შეტევა დაეწყო. ამ შემთხვევაში შეტევის დაწყება რამდენიმე დღის საკითხია.

მეორე ვარაუდი: ვეიგანს არ ძალუძს შეტევა დაიწყოს, ვინაიდან მისი რეზერვები საკმარისი არ არის (არ უნდა დავივიწყოთ, რომ, მხედველობაში აქვს რა სამხრეთში დიპლომატიური ვითარების გამოურკვევლობა, ვეიგანი იძულებულია ჯარი იყოლიოს აღმოსავლეთსა და ზღვისპირა ალპებში). ამ შემთხვევაში ვეიგანი ტერიტორიას გასწირავს, რათა თავისი არმიის მეტი ნაწილი შეინარჩუნოს მომავალი ბრძოლებისათვის.

მესამე ვარაუდი: ვეიგანს საჭირო ელემენტები მოეპოვება, რათა დიდ შეტევაზე გადავიდეს მეორე პუნქტში და არა დასავლეთში. იგი შეტევას განავითარებს მაშინ, როდესაც გერმანიის არმიის ძალები, მისი აზრით, საკმაოდ გამოიფიტებიან. შესაძლოა ვეიგანს განზრახული ჰქონდეს მძლავრად დაჰკრას იმ მომენტში, როდესაც გერმანიის არმია მთლიანად ჩაებმება საშიშარ იერიშში ინგლისის სანაპიროებზე".

შვეციის პრესა ფლანდრიაში მოკავშირეთა არმიის მდგომარეობის შესახებ

სტოკჰოლმი, 31 მაისი (საკდესი). შვეციის გაზეთების ლონდონელი კორესპონდენტები იუწყებიან ფლანდრიაში გარშემორტყმული მოკავშირეთა არმიის უიმედო მდგომარეობის შესახებ. „ახლა, — სწერს გაზეთ „გეტებორგს ჰანდელს ტიდნინგის" ლონდონელი კორესპონდენტი, — ინგრევა ჩრდილოეთის მთელი ფრონტი". კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გარშემორტყმული არმიის მდგომარეობა მძიმეა, რადგან სრუტით ჯარის ევაკუაცია უკვე შეუძლებელია. როგორც გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის მთავრობა იწყებს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას სხვადასხვა მოულოდნელობისათვის. „ინგლისელთა მძიმე პერსპექტივები, — განმარტავს კორესპონდენტი, — იმაში მდგომარეობს, რომ ინგლის-საფრანგეთის გარშემორტყმული ჯარის გადარჩენა უკვე შეუძლებელია და რომ გერმანია, შეიძლება, შეეცადოს შეიჭრას ინგლისში. გერმანიამ მიაღწია იმას, რაც მან ვერ მოახერხა წინანდელ ომში, სახელდობრ, ორად გაჰყო მოკავშირეთა არმია. შედეგად თვით ინგლისის დაცვის პრობლემა ისე აქტუალური გახდა, როგორიც არასოდეს ყოფილა".

მოკავშირეთა ჯარის ევაკუაცია

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის ევაკუაცია საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში გრძელდება. ევაკუირებულთა რაოდენობის შესახებ ცნობების გამოქვეყნება ნებადართული არ არის, მაგრამ აცხადებენ, რომ უკვე ევაკუირებულია დიდძალი ჯარისკაცი. მოკავშირეთა ჯარს ახლა უკავია პოზიციები, რომლებიც სანაპიროს მცირეოდენი მანძილით არიან დაშორებული.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო რადიოთი გადმოსცემს ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციების შესახებ 28 მაისს, დღისით და ღამით. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ძირითადი ოპერაციების მიზანი იყო მოკავშირეთა ჯარებისათვის მაქსიმალური დახმარების გაწევა ფლანდრიაში. ლონდონში მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით, 28 მაისის განმავლობაში ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა გაანადგურეს გერმანიის, სულ ცოტა, 77 თვითმფრინავი. ამ ოპერაციებთან ერთად ინგლისის ავიაცია განაგრძობდა თავდასხმას გერმანიის სატრანსპორტო კოლონებზე და ჯავშან-სატანკო ნაწილებზე, აგრეთვე მტრის ზურგის კომუნიკაციებზე. როგორც კომუნიკეში ნათქვამია, ინგლისის ყველა თვითმფრინავი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ ოპერაციებში, მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში, გარდა ერთი თვითმფრინავისა, რომელიც გერმანიის ავიაგამანადგურებელმა ჩამოაგდო.

28 მაისს, ღამით, ინგლისის მძიმე ყუმბარმშენთა ოპერაციების დროს საფრანგეთისა და ბელგიის სანაპიროს რაიონში გერმანიის ორი თვითმფრინავი ჩამოგდებულ და ორიც სხვა დაზიანებულ იქნა. თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის 10 თვითმფრინავი.

ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია აგრეთვე, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა და გამანადგურებელმა ავიაციამ ნარვიკის რაიონში ოპერაციების დროს 27 და 28 მაისს მოსპეს გერმანიის 13 თვითმფრინავი.

O

ბერლინი, 30 მაისი (საკდესი). როგორც გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ, ოფიციალური ცნობების თანახმად, ინგლისის და საფრანგეთის თვითმფრინავები ყოველ ღამე თავს ესხმიან გერმანიის ქალაქებს. თვითმფრინავები ყუმბარებს უშენენ მსხვილ სამრეწველო ცენტრებს: ჰამბურგს, ბრემენს, დიუსელდორფს, ჰანოვერს და მრავალ სხვა ქალაქს.

თითქმის ყველა საჰაერო თავდასხმა ღამით ხდება. გაზეთ „ვესტ დოიჩერ ბეობახტერი" აღნიშნავს, რომ მტრის თვითმფრინავები ხშირად ისე მოულოდნელად გვესხმიან თავს, რომ საჰაერო განგაში უკვე მას შემდეგ ატყდება, რაც საზენიტო არტილერია თვითმფრინავებისათვის ყუმბარების დაშენას იწყებსო. ეს გარემოება, აღნიშნავს გაზეთი, ზედმეტ მსხვერპლს იწვევს სამოქალაქო მოსახლეობაში საზენიტო არტილერიის ყუმბარების ნამსხვრევებისაგან.

ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი" სწერს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის თვითმფრინავების საჰაერო თავდასხმამ გერმანიის ქალაქებზე უკვე მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოგვაყენა. ამასთან ერთად სამოქალაქო მოსახლეობაში ბევრია მოკლული და დაჭრილი.

მოკავშირეთა ცნობები

ლონდონი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ უკვე რამდენიმე ათასი ჯარისკაცი ინგლისის საექსპედიციო არმიის შემადგენლობიდან, მიუხედავად არაჩვეულებრივი სიძნელეებისა, გადმოყვანილია მოკავშირეთა შეერთებული საზღვაო ფლოტის დახმარებით ინგლისის სამხრეთ ნავსადგურებში. ამავე დროს ბრძოლა გერმანიის ჯარებსა და უკანდახევის დამცველ მოკავშირეთა ჯარებს შორის შეუნელებელი ძალით გრძელდება. ფლანდრიიდან ევაკუირებულთა შორის არიან დამხმარე ტერიტორიული ნაწილები, რომლებიც ქალებისაგან შესდგება.

„გერმანიის მტკიცება, — იუწყება რეიტერის სააგენტო, — იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა არმიები უწესრიგოდ გარბიან სანაპიროსაკენ, არ შეეფერება სინამდვილეს". ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გემებზე დასხდომა ხდება გერმანიის თვითმფრინავების განუწყვეტელი სროლის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის ავიაცია რიცხობრივად გვჭარბობს, ინგლისის ავიაცია გერმანიის თვითმფრინავების წინააღმდეგ სისტემატიურ იერიშებს აწარმოებს.

მნახველები გვიამბობენ, რომ გერმანიის არტილერია უშენს დიუნკერკსა და მის მიდამოებს. ამასთან ერთად გერმანიის თვითმფრინავები განაგრძობენ განუწყვეტელ ბომბარდირებას. გერმანიის თვითმფრინავები თავდასხმებს ახდენენ დიდი შენაერთებით რეგულარულად ყოველ 10 ან 15 წუთში და ყუმბარებს უშენენ გემებსა და ჯარებს, რომლებიც ნაპირზე იმყოფებიან. მიუხედავად მნიშვნელოვანი ზარალისა, რომელსაც აყენებს მათ მოკავშირეთა საზენიტო არტილერია და ინგლისის ავიაგამანადგურებლები, გერმანიის ავიაცია მაინც ოდნავადაც არ ანელებს და განაგრძობს ყუმბარების დაშენას.

პარიზი, 1 ივნისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ დიუნკერკში საფრანგეთისა და ინგლისის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ გერმანელთა მოძალებას და უზრუნველჰყოფენ ევაკუაციის შესაძლებლობას.

მტერმა მდინარე სომის გადასასვლელზე კონტრიერიში მიიტანა, რომელიც უკუქცეულ იქნა.

ლონდონი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლის განცხადებას მდგომარეობის შესახებ დასავლეთის ფრონტზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ინგლისის და საფრანგეთის ჯარებს მტკიცედ უჭირავთ პოზიციები ფლანდრიის მთებში, რათა დაიცვან გზა სანაპიროსაკენ, რომლითაც მოკავშირეთა ჯარები ფლანდრიიდან უკან იხევენ.

ბელგიის ჯარის რამდენიმე ნაწილი, რომელთაც უარი განაცხადეს ბელგიის მეფის ლეოპოლდის ბრძანება შეესრულებინათ იარაღის დაყრის შესახებ, დიუნკერკში ჩამოვიდა.

გააფთრებული ბრძოლა გრძელდება სომის ფრონტზე, სადაც საფრანგეთის ჯარმა კვლავ დაიკავა აბვილის დასავლეთი ნაწილი. მეორე პუნქტში, სომის შესართავის მახლობლად, საფრანგეთის ჯარმა წარმატებით გადალახა მდინარე და გამაგრდა მის ჩრდილოეთ ნაპირზე. ამიენის რაიონში საფრანგეთის ჯარი მედგარ იერიშებს აწარმოებს გერმანიის უკანასკნელი სიმაგრის წინააღმდეგ სომის სამხრეთ ნაპირზე.

აქტიურ როლს საომარ ოპერაციებში ასრულებდნენ საფრანგეთის სატანკო ნაწილები, რომლებიც მძიმე ზიანს აყენებენ გერმანელების როგორც ცოცხალ ძალას, ისე შეიარაღებას. საფრანგეთის ჯარმა ხელთ იგდო რამდენიმე ასეული სამხედრო ტყვე და აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო იარაღი.

საფრანგეთის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფლანდრიაში წარმოებულ ოპერაციებში გერმანიის ქვეითი ნაწილების გარდა, მონაწილეობას იღებენ 10 ჯავშან-სატანკო და 3 მექანიზებული დივიზია. გერმანიის სარწმუნო საბუთები, რომლებიც ხელთ იგდო საფრანგეთის არმიამ, მოწმობენ, რომ გერმანიის ჯარის ზარალი 10 მაისიდან 500 ათას კაცს შეადგენს. (საკდესი).

მდგომარეობა ლონდონში შვეციის გაზეთის ცნობით

სტოკჰოლმი, 31 მაისი (საკდესი). გაზეთ „გეტებორგს ხანდელს ტიდნინგენის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისში ახლა ყველაფრის მობილიზაცია ხდება ომისათვის. ყოველდღე სწარმოებს მუშაობა ლონდონის საჰაერო თავდაცვის სისტემის გასაძლიერებლად. ყველგან მავთულის ხლართებსა და ტყვიამფრქვევებს დგამენ. მთავრობის შენობების დაცვას აძლიერებენ. დაწესებულია მკაცრი კონტროლი სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა პერსონალზე. პოლიციის სამხედრო რეზერვი, რომელიც ომის დაწყებისას დაითხოვეს, კვლავ მოიწვიეს. სკოტლანდ იარდმა (ლონდონის პოლიციის ცენტრალური სამმართველო) მაღაზიებთან, მთავრობის შენობებთან და სხვაგან საგუშაგოები დააწესა. 27 მაისიდან უცხოელებს ნება არა აქვთ გამოვიდნენ სახლიდან 22 საათიდან დილის 6 საათამდე. მხოლოდ ლონდონში მათ აქვთ უფლება სახლს გარეთ იყვნენ 24 საათამდე.

დუვრიდან და სამხრეთ სანაპიროს სხვა ადგილებიდან მოსახლეობამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო ბავშვებისა და ქალების ევაკუაცია. ყველგან სწარმოებს ადგილობრივი თავდაცვის ახლახან შექმნილი ჯგუფების სწავლება. ამ ჯგუფებში 400 ათასი კაცი ჩაეწერა.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა წინადადებით მიმართა ყველა საექიმო დას გატარდნენ რეგისტრაციაში სამსახურისათვის. აგროვებენ რკინის ნამტვრევსა და ქაღალდებს. იყენებენ წარსული ომის მცირე ღირებულების ტროფეებს, — კერძოდ, ნელსონის ფლოტის 60 ზარბაზანი, რომლებიც ასი წლის განმავლობაში ტემზის ნაპირას იდგა, გადასადნობად გადასცეს. ლონდონის სამეფო პარკებმა შესწირეს 15 ათასი ტონა რკინის მესერი. ყოველ სოფელში შექმნილია პუნქტები რკინის ნამტვრევების შესაკრებად. ყოველთვიურად 125 ათას ტონა რკინის ნამტვრევს აგროვებენ.

ინგლის-იტალიის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 31 მაისი (საკდესი). ლონდონში მყოფი ამერიკელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ინგლის-იტალიის ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის სიტყვით, იტალიელთა წრეებში აცხადებენ: იტალიის მთავრობამ უარჰყო ინგლისის წინადადება იმის შესახებ, რომ იგი აღარ დააკავებს იტალიის გემებს, „თუ იტალია შეჰპირდება, რომ გერმანიაში საქონელს არ შეიტანს".

დაუდასტურებელი ცნობებით, მუსოლინიმ რუზველტს თავის პასუხში არ მისცა დაპირება, რომ იტალია ომში არ ჩაებმება.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, იტალიური პრესა უფრო და უფრო ხშირად იხსენიებს ესპანეთის პრეტენზიებს გიბრალტარის მიმართ. რომში გავრცელებულ ფურცლებში ნათქვამია: „ბიზერტა ფრანგების ხელში სიცილიის წინააღმდეგ დამიზნებული რევოლვერია".

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, იტალიაში გრძელდება მობილიზაცია. თოფქვეშ იმყოფება 1,5 მილიონიდან 1,8 მილიონამდე კაცი.

O

სოფია, 31 მაისი (საკდესი). გაზეთი „უტრო" იუწყება, რომ ინგლისის რომაელი ელჩი ლორენი შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს, მოხერხებულია თუ არა ინგლისის საელჩო იმყოფებოდეს რომში, რამდენადაც შექმნილი ვითარება შეუძლებელს ხდის სამსახურის ფუნქციების შესრულებას. ამის გამო ელჩს გონივრულად მიაჩნია დასტოვოს დედაქალაქი. იგივე გაზეთი სწერს, რომ გუშინ მუსოლინი, ჯარის ინსპექტირების მიზნით, დასავლეთ საზღვარზე გაემგზავრა.

იტალიის პოზიცია

ნიუ-იორკი, 31 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, იტალიის მადრიდელი ელჩი გენერალი გამბარა 30 მაისს ჩავიდა რომს იტალია-ესპანეთის ურთიერთობის საკითხზე და კერძოდ, გიბრალტარის მიმართ ესპანეთის პრეტენზიების შესახებ საკონსულტაციოდ. გამბარა მადრიდს რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდება.

ცნობის მიხედვით, ფრანკო უახლოეს დროში ეწვევა რომს.

დემონსტრაცია იტალიაში

სოფია, 31 მაისი (საკდესი). გაზეთ „უტროს" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 29 მაისს რომში სტუდენტთა დიდი დემონსტრაცია გაიმართა. 10-ათასიან დემონსტრაციას აშკარად ანტიფრანგული და ანტიინგლისური ხასიათი ჰქონდა.

გერინგის ბრძანება

ბერლინი, 30 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 28 მაისს გენერალ-ფელდმარშალმა გერინგმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ტყვე ფრანგ მფრინავებს ამიერიდან ისევე მოეპყრობიან, როგორც ფრანგები ეპყრობიან გერმანელ მფრინავებს. მომავალში ყველა ტყვე ფრანგ მფრინავს ხელ-ფეხს შეუკრავენ, ხოლო შემდეგ გაანაწილებენ ბანაკებში ისე, რომ არავითარ შეღავათს არ მისცემენ. როგორც კი მოვა ცნობა ფრანგების მიერ ტყვედ წაყვანილ გერმანელ მფრინავთა მოკვლის შესახებ, გაიცემა ბრძანება თვითეული მოკლული გერმანელის სანაცვლოდ დაიხვრიტოს 5 ფრანგი ტყვე მფრინავი. იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მფრინავებს, რომელნიც იძულებული იქნებიან პარაშუტით დაეშვან, სროლა აუტეხეს, გერმანიაში საპასუხო ღონისძიების სახით დახვრეტილ იქნება 50 ტყვე.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო აღნიშნავს, რომ გენერალ-ფელდმარშალ გერინგის ეს ბრძანება ემყარება ესკადრილიის მეთაურის, ფრანგების ტყვეობიდან დაბრუნებულ პოლკოვნიკ ლაკნერის მოხსენებას და საფრანგეთიდან მიღებულ მთელ რიგ სხვა ცნობებს. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ტყვე ინგლისელ მფრინავებზე ასეთი ღონისძიებები არ გავრცელდება, რამდენადაც ინგლისელებს „ჯერჯერობით არ მოუციათ საბაბი ასეთი კონტრზომებისათვის".

მექანიზებული შენაერთების მოქმედება

(უცხოეთის პრესის მიმოხილვა)

ჰოლანდიაში, ბელგიაში და ჩრდილოეთ საფრანგეთში სამხედრო მოქმედებათა დროს გერმანიამ ფართოდ გამოიყენა მექანიზებული შენაერთები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცეს მას მიეღწია დიდი წარმატებებისათვის და მნიშვნელოვნად გაეძლიერებინა შეტევის ტემპი.

ფრანგი გენერალი ბროსე, უსაყვედურებდა რა საფრანგეთის უმაღლეს სამხედრო სარდლობას, რომელიც უარჰყოფდა საფრანგეთის ველებზე გერმანიის სატანკო ნაწილების მოქმედების შესაძლებლობას, აღნიშნავდა, რომ „მექანიზებული ომი არ არის შემთხვევითი. ეს არის ომის თანამედროვე ფორმა".

გერმანიაში სთვლიან, რომ ტანკებისა და ჯავშნოსანი მანქანების ძირითადი თვისებები — მოქმედების სისწრაფე და რადიუსი — არ უნდა იყოს დაკავშირებული ქვეითი ჯარის დაუყოვნებლივ წინწაწევასთან. ამიტომ მექანიზებული შენაერთები აღარ არიან ქვეითი ჯარის მარტო დამხმარე იარაღი. მეორე მხრივ, ტანკებს არ შეუძლიათ განამტკიცონ მათ მიერ ბრძოლაში მიღწეული წარმატება, რამაც აიძულა გერმანელები შეექმნათ არა წმინდა სატანკო, არამედ შერეული დივიზია, ე. ი. ისეთი დივიზია, რომელიც შესდგება ტანკებისა, მოტორიზებული ქვეითი ჯარისა და თვითმავალი არტილერიისაგან.

გარღვევისათვის გათვალისწინებული გერმანიის მექანიზებული დივიზია, იტალიის პრესის ცნობების მიხედვით, შესდგება მსუბუქი და საშუალო ტანკების ერთი ბრიგადისაგან (400-500 ტანკი), მოტორიზებული ქვეითი ჯარის ბრიგადისაგან, ერთი მოტორიზებული საარტილერიო პოლკისაგან, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნების ერთი დივიზიონისაგან, მოტორიზებული სადაზვერვო ბატალიონის, მეკავშირეთა ბატალიონის, საინჟინერო ბატალიონისა და ზურგის მოტორიზებული სამსახურებისაგან.

როგორც იტალიის გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია" იუწყება, დივიზიის შეიარაღება შესდგება 5.000 კარაბინისა, 220 ხელის ტყვიამფრქვევისა, 500 მძიმე ტყვიამფრქვევისა, 12 მორტირისა, 27 მსუბუქი ნაღმტყორცნისა, 18 მძიმე ნაღმტყორცნისა, ასი 20-მილიმეტრიანი ავტომატური ზარბაზნისა და ორმოცდახუთი 37-მილიმეტრიანი ზარბაზნისაგან „პტო", ოთხი 77-მილიმეტრიანი ზარბაზნისა, ოცდაოთხი 105-მილიმეტრიანი გაუბიცისა, 30 ჯავშნოსანი მანქანისა, 300 მსუბუქი ტანკისა და 160 საშუალო ტანკისაგან. ეს მონაცემები, უნდა ვიფიქროთ, მოძველდა ტანკების მიმართ, ვინაიდან სამხედრო მიმომხილველების ყურადღებას იპყრობს 30-ტონიანი მძიმე გერმანული ტანკების გამოჩენა, რომლებიც დასავლეთ ფრონტზე მოქმედებენ.

დივიზია წარმოადგენს მძლავრ დამრტყმელ ძალას, რომელიც მოწინააღმდეგის განლაგებაში შეჭრისა და დამოუკიდებელი ბრძოლის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. აწარმოებს რა იერიშს ტალღებად, რომლებიც ერთიმეორის განსაზღვრული დისტანციით მისდევენ, დივიზია და განსაკუთრებით მისი პირველი ეშელონი თავიანთ მოქმედებას ზუსტად უთანხმებენ მოიერიშე და ყუმბარმტყორცნ ავიაციას, რომელსაც წინაპირზე მოწინააღმდეგის თავდაცვის ჩახშობასთან ერთად იერიში მიაქვს საარტილერიო პოზიციებსა და რეზერვებზე. მექანიზებული დივიზიების ორგანიზაცია დასავლეთ ევროპის სხვა არმიებში თითქმის ანალოგიურია გერმანულისა.

როდესაც თანამედროვე არმიები ომში ჩაებნენ, მათ თავიანთ შემადგენლობაში ჰყავდათ მექანიზებული დივიზიები. უცხოეთის პრესის ცნობების მიხედვით, გერმანიას მშვიდობიან დროს ჰყავდა 5 მექანიზებული და 4 მსუბუქი დივიზია, რომლებიც სატანკო დივიზიებისაგან განირჩევიან სადაზვერვო ორგანოებისა და მსროლელთა დიდი რაოდენობით და ტანკების ნაკლები რაოდენობით.

უცხოეთის სამხედრო პრესის ცნობებით, გერმანია-პოლონეთის ომში მონაწილეობას იღებდა 8 დივიზია. ამჟამად საფრანგეთისა და ბელგიის ველებზე, იმავე პრესის ცნობებით, ითვლება 12-მდე გერმანული მექანიზებული და 10-მდე მოტორიზებული დივიზია, თუ არ ჩავთვლით მსუბუქ დივიზიებს.

საფრანგეთის არმიას მშვიდობიან დროს ჰყავდა ორი მექანიზებული და 8 მოტორიზებული დივიზია. ინგლისის არმიასაც ჰყავდა ორი მექანიზებული დივიზია. იტალიაში 1939 წლის საშემოდგომო მანევრების დროს, ჟურნალ „ვისენ უნდ ვერის" მონაცემებით, გამოჩნდა საარმიო ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ერთი ჯავშან-სატანკო კორპუსისა და ერთი მოტორიზებული კორპუსისაგან.

ტანკების გამოყენების ახალი პრინციპის შექმნაში, აგრეთვე მატერიალურ ნაწილში გერმანიამ გაუსწრო თავიანთ მოწინააღმდეგეებს.

ძირითად დებულებას, რომელიც წამოაყენა ავტო-ჯავშან-სატანკო ჯარების სარდალმა გენერალმა გუდერმანმა, წარმოადგენს მოძრავი ჯარის საბრძოლო უპირატესობა ნაკლებმოძრავ ჯართან შედარებით. საერთოდ აღიარებულ იქნა კონცეპცია, რომ მექანიზებული შენაერთების უპირატესობა მდგომარეობს სწორედ მათ მასობრივ და არა დაქსაქსულად გამოყენებაში. ეს დებულება გამოხატულებას პოულობს ფრონტის 1 კილომეტრზე ტანკების საჭირო რაოდენობის გაანგარიშებაშიც. ფრანგი პოლკოვნიკი მენიე საჭიროდ სთვლიდა 60-80 ტანკს, გენერალი ეიმანსბერგერი — 100-ს. გერმანიაში, სწერს ჟურნალი „ლა რევიუ ინფანტერი", თითქოს მიღებულია ნორმა — ფრონტის თითო კილომეტრზე ერთი სატანკო ბატალიონი, ე. ი. 112 მანქანა.

გერმანიის თვალსაზრისი ტანკების გამოყენებაში გულისხმობს მოწინააღმდეგის განლაგების მთელი სიღრმის მკვეთრ და სწრაფ ჩახშობას ტანკებით, რომლებიც ხსნიან გზას წარმატების განვითარებისათვის. სატანკო ბრიგადა წარმოადგენს ყველაზე უმცირეს შენაერთს, რომელსაც შეუძლია საბრძოლო ამოცანის შესრულება. „მექანიზებული ჯარი წმენდის იარაღი კი არ არის, არამედ უროა, რომელმაც უნდა დაჰკრას გადამწყვეტი მიმართულებით". — სწერს „მილიტერ ვოხენბლატი".

გერმანული დოქტრინისაგან განსხვავებით ფრანგული დოქტრინა, ყოველ შემთხვევაში 10 მაისამდე, ემხრობოდა ქვეითი ჯართან უმჭიდროესი ურთიერთმოქმედების თეზისს. საფრანგეთში ჯავშან-სატანკო ნაწილების მასა ნავარაუდევი იყო ქვეითი ჯართან ერთად მოქმედებისათვის.

ტანკების ბრძოლა კამბრესთან 19 მაისს სრულიად არა ჰგავდა ბრძოლას, რომელიც მოხდა აქვე 1917 წელს, როდესაც ტანკები პირველად მასობრივი მასშტაბით გამოიყენეს ინგლისელებმა. ოპერაცია გაიშალა გერმანელების შეტევის მიმართულებით ავენიდან ლე კატოზე გავლით კამბრესაკენ. მსხვილი სატანკო შენაერთის უეცარ იერიშს საფრანგეთის შენაერთზე წარმატება ჰქონდა. უცხოეთის პრესა აღნიშნავდა, რომ აქ ერთმანეთს შეხვდა 2.000 ტანკი. გერმანიის ტანკები იჭრებოდნენ მოწინააღმდეგის სატანკო კოლონებში, როცა ეს უკანასკნელები მოძრაობდნენ, ან ისვენებდნენ.

„ტანკების ბრძოლის თანამედროვე ველი, — სწერს გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი", — წარმოადგენს არაჩვეულებრივ სურათს. როცა სადაზვერვო რაზმები ან თვითმფრინავები მოიტანენ საჭირო ინფორმაციას იერიშზე გადასასვლელად, ბრძოლის ველზე გამოდის ასობით ჯავშნოსანი მანქანა, რომლებიც ანვითარებენ 30, 40, 50 კილომეტრ სისწრაფეს საათში. ამ თანამედროვე კავალერიას წინ მიუძღვის ან მის პირველ ეშელონშია დივიზიის გენერალი, რომელიც ელვისებური სისწრაფით უნდა ერკვეოდეს ვითარებაში და მოქმედებდეს..."

პოლკოვნიკი ლ. პეტროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

როდესაც პარტორგანიზაცია კონკრეტულად მუშაობს

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამმართველო ხარჯების თვალსაჩინო შემცირება, რაც მიღწეულ უნდა იქნას სახელმწიფო და სამმართველო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებით, მისი გამარტივებით, ზედმეტი რგოლებისა და გაბერილი შტატების შემცირებით. ასეთია პარტიისა და მთავრობის დირექტივა.

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი მექანიკოსის განყოფილების პარტიული ორგანიზაცია დროზე გამოეხმაურა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ მოთხოვნას, გულდასმით შეისწავლა საკითხი, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამ მიმართულებით მთავარი მექანიკოსის განყოფილებაში; ამ საქმეში ჩაბმულ იქნენ საამქროს პარტბიუროს წევრები და რიგითი კომუნისტები. გამოირკვა, რომ მუშაობის სათანადოდ მოწესრიგებით შეიძლება შემცირდეს სამი მუშაკის შტატი. ადმინისტრაცია დაეთანხმა პარტბიუროს ამ წინადადებას, რომელიც ამ უახლოეს ხანში გატარდება ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნულ საკითხთან ერთად პარტბიურომ შეისწავლა ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების გამოყენების საკითხი. გამოირკვა, რომ სარემონტო მექანიკურ საამქროში, სადაც 140-ზე მეტი კაცი მუშაობს, არც ერთი ინჟინერ-ტექნიკოსი არ ირიცხება. ეს საკითხი პარტორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. მთავარი მექანიკოსის განყოფილების ადმინისტრაცია გამოეხმაურა პარტორგანიზაციის სიგნალს და ამჟამად სარემონტო-მექანიკური საამქროს უფროსად დანიშნულია ინჟინერი. ახლო მომავალში ამ საამქროში მთავარი მექანიკოსის განყოფილების აპარატიდან გადაყვანილი იქნება კიდევ ერთი ინჟინერი.

წინათ სარემონტო-მექანიკურ საამქროს მუშაობის მტკიცე გეგმა არ ეძლეოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ შეისწავლა საამქროს მუშაობის დაგეგმვის საკითხი და თავისი წინადადებები აცნობა ადმინისტრაციას. ახლა საამქროს ეძლევა ყოველთვიური გეგმა. აპრილის გეგმა საამქრომ 106 პროცენტით შეასრულა. პარტორგანიზაციის წინადადებით სარემონტო-მექანიკურ საამქროში შემოღებულ იქნა შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემა.

ამჟამად ფაბრიკა ამთავრებს ახალ კონვეიერს. აქ შეიკერება ქოშები („ბოსონოჟკები"). ამისათვის შემოღებულ უნდა იქნას ფეხსაცმლის რეზინის ძირის მიწებება (მიკერების ნაცვლად) გუტაპერჩის წებოთი. მაგრამ წებოს გასალხობად (მიწებებისათვის) საჭიროა 110—120 გრადუსი ტემპერატურა. მისი გალხობა ხდება სპეციალურ თერმოსტატში და მოითხოვს ელექტრონის ენერგიის დიდი რაოდენობით ხარჯვას, აგრეთვე ზოგიერთ მეტად დეფიციტურ მასალას (ქრომნიკელი და სხვ.). ამ პროცესის გასაადვილებლად და გასაიაფებლად კომუნისტმა ინჟინერმა ამხ. ურუშაძემ შემოიტანა რაციონალიზატორული წინადადება თერმოსტატის ელექტრონით გახურების ნაცვლად ორთქლით გახურების შესახებ. ამ წინადადების განხორციელებით აღნიშნული პროცესი სულ ცოტა 5-6-ჯერ მაინც გაიაფდება და, გარდა ამისა, თავიდან აცილებული იქნება დიდძალი ენერგიის და ზოგიერთი დეფიციტური მასალის ხარჯვა.

ამ წინადადებას ადმინისტრაცია რატომღაც გულგრილად შეხვდა. წინადადება დასკვნისათვის ინჟ. ვარშამოვს გადაეცა. ვარშამოვმა მისი სარგებლიანობა საეჭვოდ ჩასთვალა. მაგრამ ამხ. ურუშაძემ ხელი არ აიღო თავის წინადადებაზე. პარტორგანიზაცია გამოეხმაურა მის ინიციატივას და აქტიურად დაუჭირა მას მხარი. მოწყობილ იქნა ორთქლის პრიმიტიული საცდელი თერმოსტატი, რომლის გამოცდამ საუკეთესო შედეგები მოგვცა. მაშინ საამქროს პარტბიურომ ადმინისტრაციის წინაშე დააყენა საკითხი ამ ფრიად სასარგებლო რაციონალიზატორული წინადადების რეალიზაციის შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა და უახლეს ხანში გატარდება ცხოვრებაში.

ახლის გრძნობა თვითეული ბოლშევიკური მუშაკის ძვირფასი თვისებაა. გქონდეს ახლის გრძნობა— ნიშნავს შეგეძლოს მხარდამხარ მიჰყვე ცხოვრებას, იყო ნამდვილი თანამედროვე შენი ეპოქისა და შეგეძლოს პასუხი გასცე ამ ეპოქის მოთხოვნილებებს, გქონდეს უნარი სათავეში ჩაუდგე მასების ინიციატივას, წაახალისო ყოველივე ახალი, სასარგებლო ჩანასახი, ყოველივე შემოქმედებითი, სასარგებლო თაოსნობა. ეს ახლის გრძნობა საკმაოდ მოეპოვებათ თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მთავარი მექანიკოსის განყოფილების პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებს. ამიტომ მათი ინიციატივიანი მუშაობა დადებითს გავლენას ახდენს ადმინისტრაციის საქმიანობაზე და უზრუნველჰყოფს სამეურნეო მუშაკთა საქმიანობის კონტროლის ნამდვილად გატარებას.

ლ. ჯავახაძე

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი

(თელავი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

თელავის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა უმართებულოდ აიღო ხელი ლენინურ-სტალინური კომკავშირისათვის დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევაზე.

სოფელ ყვარელწყალის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. გ. ჩეკურიშვილს წარმოდგენა არა აქვს ამავე კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაზე, ის თავს არ იწუხებს დაესწროს კომკავშირის კრებებს, გულისხმიერი დახმარება გაუწიოს კომკავშირს მუშაობაში.

უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1939 წლის დეკემბერში პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაავალა პარტიის წევრს ამხ. გ. ალბუთიშვილს, რაც არ არის სწორი. ახლა აქ კომკავშირული მუშაობა ძალზე მოისუსტებს. ასე, მაგალითად, კომკავშირელებს ამხ. ხ. კულალაშვილს, გ. იანვარაშვილს და გ. გულბიაშვილს 5 თვეა საწევრო ანარიცხები არ გადაუხდიათ. კომკავშირული დოკუმენტების შენახვა-გაფორმებას ყურადღება არ ექცევა, კომკავშირულ კრებებს მხოლოდ 3 თვეში ერთხელ იწვევენ და სხვ. აქ ჯერ კიდევ თავი ვერ დაუღწევიათ კომკავშირზე ცალკე ამხანაგების მიმაგრების პრაქტიკისათვის.

აგრეთვე გამოირკვა, რომ სოფელ დუისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პირადად მისი მდივანი ამხ. ლ. ქავთარაშვილი მთლიანად მოწყვეტილია ამავე კოლმეურნეობაში არსებული კომკავშირული ორგანიზაციის (მდივანი—მარგოშვილი) მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კოლმეურნეობებში საკმაოდ არიან კავშირგარეშე მოწინავე ახალგაზრდები, კომკავშირის ორგანიზაციის ზრდა ერთ წერტილზეა გაყინული. 12 კომკავშირელიდან 9 კაცს 1940 წლის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო ანარიცხი, „საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" კი მხოლოდ 2 კომკავშირელი სწავლობს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ყვარელწყალის ვაჟაფშაველას და დუისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობების კომკავშირის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ერთხელაც არ უფიქრიათ შეესწავლათ და განეხილათ საკითხი კოლმეურნეობაში კომკავშირელთა ავანგარდული როლის შესახებ და ამიტომაც მათ არ იციან, თუ რომელი კომკავშირელი როგორ მუშაობს კოლმეურნეობაში, ვინ არის მოწინავე სტახანოველი.

სუსტად ეხმარება მუშაობაში კომკავშირის ორგანიზაციას აგრეთვე წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციაც. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს, კომკავშირული მეურნეობა მოუწესრიგებელია, სუსტია კომკავშირელთა დისციპლინა, ზოგიერთი კომკავშირელები (შ. საგინაშვილი, ა. გორიაშვილი, ა. ლომაშვილი და სხვ.) იშვიათად ესწრებიან კომკავშირული ორგანიზაციის კრებებს. მიუხედავად ამისა, მათ მიმართ არავითარ აღმზრდელობითს ზომებს არ იღებენ.

აქ მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ თელავის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ მზრუნველობას იჩენს კომკავშირისადმი. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომმა.

დ. რთველიაშვილი

რაიკომი მუშაობაში აბამს პარტიულ აქტივს

მოსკოვი, 31 მაისი (საკდესი). მოსკოვის მოლოტოვის რაიონის საანგარიშო - საარჩევნო პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ რაიკომი არასაკმაოდ აბამს მუშაობაში პარტიულ აქტივს, ნაკლებად ეხმარება მის ზრდას. საკ. კ. პ. (ბ) რაიონულმა კომიტეტმა გაითვალისწინა ეს მითითებანი. რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებამ სისტემატურ მუშაობაში ჩააბა 100-მდე კაცი — პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, ინსტიტუტთა მეცნიერი მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები და სხვ.

მაისში პარტიის რაიკომმა მოისმინა სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის პარტიული კომიტეტის მოხსენება მის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ამ საკითხის მომზადებაში, რაიკომის პლენუმის 10 წევრისა და კანდიდატის გარდა, მონაწილეობა მიიღო რაიონული პარტიული ორგანიზაციის 9 აქტივისტმა. ისინი დაეხმარენ რაიკომს პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობის უფრო ღრმად შესწავლაში.

იმ ამხანაგთა შორის, რომელნიც რაიკომის დავალებას ასრულებენ, საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებამ შეარჩია 15 კაცი, ისინი რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორებად იმუშავებენ.

ჩამოყალიბდა ოთხი ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია

ჭიათურა, (საქდესი). ჭიათურის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იზრდება მოწინავე, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის ბოლომდე ერთგული ადამიანების ხარჯზე. 1939 წლის ივლისიდან, ე. ი. ჭიათურის რაიონიდან საჩხერის რაიონის გამოყოფის შემდეგ, 1940 წლის მაისამდე პარტიის წევრად მიღებულია 223 კაცი, ხოლო წევრობის კანდიდატად — 334. პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღების საქმეში წინ არის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პირველადი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. შეყლაშვილი) აქ 1940 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე პარტიის წევრად მიღებულია 11 კაცი, ხოლო კანდიდატად — 10. ახალ მიღებულთა შორის უმრავლესობას შეადგენენ ძირითადი, წამყვანი პროფესიის მუშები—მარგანეცის ამწმენდი მუშები; ესენი არიან ამხ. გ. გაფრინდაშვილი, ნ. ჭილაძე, გ. თაბაგარი და სხვ. დასახელებული ამხანაგები მარგანეცის აწმენდის ყოველდღიურ გეგმებს 160—170 პროცენტით ასრულებენ. პარტიაში ახალ წევრთა და კანდიდატთა მიღებასთან ერთად იზრდება ძირეულ პარტორგანიზაციათა რიცხვიც. მაგალითად, ჭიათურის რაიონიდან საჩხერის რაიონის გამოყოფის დროს ჭიათურის რაიონში 54 პირველადი პარტიული ორგანიზაცია დარჩა, ახლა კი 63 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. მათ შორის 4 ორგანიზაცია ახლახან ჩამოყალიბდა სოფ. ჭილოვანის ბუდიონის სახელობის, სოფ. სკინდორის სტალინის სახელობის, სოფ. რგანის კამოს სახელობის კოლმეურნეობებთან და სკინდორის სასოფლო საბჭოსთან.

სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. აგაბაბოვი (მარჯვნით) ესაუბრება ფაბრიკის წვევამდელებს წითელი არმიის შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

„კომუნისტის" 20 წლისთავისათვის

წარსულის ამბავი

ჩვენს გაზეთში 1923 წელს დავიწყე მუშაობა. „კომუნისტი" მაშინ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების სტამბაში იბეჭდებოდა. გაზეთს ხელით ვაწყობდით, რადგან სტამბას არა ჰქონდა ქართული ლინოტიპები. აწყობაზე 20-მდე ასოთამწყობი მუშაობდა. სტამბას არა ჰქონდა აგრეთვე ცინკოგრაფია, ასოთჩამომსხმელი და სხვ. ამიტომ გაზეთი მაშინ ძალიან ჩამორჩებოდა დღევანდელს. ტირაჟიც ბევრად ნაკლები იყო დღევანდელთან შედარებით. მკითხველთა რიცხვი კი დღითი-დღე სწრაფად იზრდებოდა, იზრდებოდა აგრეთვე თანამშრომელ-კორესპონდენტთა რიცხვიც.

ერთ დღეს ჩემთან მოვიდა გ. ხეჩუაშვილი და მითხრა, რომ „კომუნისტის" რედაქციაში შესდგა მუშკორთა წრე და შენ, როგორც ძველი მუშა, ნუ ჩამორჩები. სიხარულით შევეგებე ამ ცნობას. მართლაც დაარსდა მუშკორთა წრე, რომელსაც ამხ. გაბო მალაშხია ხელმძღვანელობდა. წრეში შედიოდნენ: გ. ხეჩუაშვილი, ნ. ასლამაზაშვილი, შ. ნავთლუღელი, სიო ხიდისთაველი, გ. შინატეხელი, გ. ჩარხიშვილი, ნიკო მკერვალი და სხვ. გაზეთს შეძლებისდაგვარად ვაწვდიდით მასალას ჩვენი ავკარგის შესახებ, როგორც მიღწევებზე ისე ნაკლზე. მუშკორები დიდად წაგვახალისა რედაქციის გულწრფელმა და თავაზიანმა მოპყრობამ.

დასასვენებელ დღეებში ხშირად ეწყობოდა ექსკურსიები; ექსკურსიების დროს ბევრჯერ გამხსენებია ცარიზმის შავბნელი დრო, როდესაც მწერლობას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი, აზროვნება დახშული იყო და უბრალო კორესპონდენციის დამწერიც კი ტერორის ქვეშ იყო დაყენებული.

აქ მაგონდება ერთი ამბავი:

1907 წელს გაზეთში მოვათავსე კორესპონდენცია სოფ. ფცაზე. ამ კორესპონდენციაში აწერილი იყო მხეცური საქციელი გ. ფალავანდიშვილისა, რომელმაც 25 ჯარისკაცის დახმარებით აიკლო სოფელი, გაამათრახა გლეხობა და ქონებრივადაც დააზარალა. კორესპონდენციის გამო თბილისში შეიარაღებული ჩამოვიდა ეს თავადი და რედაქციაში ეძებდა კორესპონდენციის დამწერს, რათა ფიზიკურად გასწორებოდა. აი ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა ძველ მუშკორს.

ოქტომბრის რევოლუციამ დაასამარა ცარიზმი და მშრომელი ხალხი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. პრესაც განთავისუფლდა.

გაზეთი „კომუნისტი" ამ ოცი წლის განმავლობაში შეუდარებლად გაიზარდა. თუ ძველად ჩვენი სოფლები და კუთხეები ჩამორჩენილი იყვნენ, ყველამ არ იცოდა წერა-კითხვა, დღეს არც ერთი კუთხე, არც ერთი სოფელი არ არის, რომ არ იღებდეს გაზეთ „კომუნისტს", რომელიც უდიდეს როლს ასრულებს მშრომელთა გათვითცნობიერების საქმეში.

ვულოცავ გაზეთ „კომუნისტს" 20 წლის განმავლობაში ბრწყინვალე გამარჯვებას და ვუსურვებ დღეგრძელობას, რომ შემდეგშიც სახელოვნად განაგრძოს თავისი გზა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

ასოთამწყობი პ. ახალკაცი

მუშკორის გზა

1922 წელს ძველი მუშა სანდრო ბაჯიაშვილი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „გუშინ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში კრება იყო და იქ დამსწრე მუშებს დაგვავალეს წერა-კითხვის მცოდნე ძველი მუშები მიგვეყვანა რედაქციაში".

იმ დროს „კომუნისტის" რედაქცია მოთავსებული იყო რუსთაველის პროსპექტზე № 24 სახლში. მეორე დღეს რედაქციისაკენ გავეშურე. იქ გულთბილად მიმიღო მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგემ. მან წინადადება მომცა მეწერა კორესპონდენციები სხვადასხვა საკითხებზე, ამიხსნა როგორ და რა თემებზე მეწერა, ჩაიწერა ჩემი გვარი, სახელი და მისამართი.

მეორე დღეს დავწერე ერთი წერილი და რედაქციას გადავეცი. ეს წერილი შემდეგ ნომერში წავიკითხე. ამან შემდეგში უფრო წამახალისა, რადგან ძველ დროს გაზეთის ფურცლებზე მუშათა წერილების გაშვება იშვიათი იყო. განვაგრძე წერა. ვწერდი სხვადასხვა საკითხზე, მეხერხებოდა აგრეთვე პუბლიცისტური ხასიათის წერილებიც.

რედაქციის მუშაკებს ამორჩეული გვყავდა ბიურო, რომელიც აწესრიგებდა სხვადასხვა საკითხებს და ეწეოდა კულტურულ მუშაობას. სხვებთან ერთად ვითვლებოდი შტატგარეშე ინსტრუქტორად. ვამოწმებდით მამხილებელ წერილებს, ვაწესრიგებდით კონფლიქტებს და ხელმძღვანელობას ვუწევდით წარმოების კედლის გაზეთებს.

ამხ. მალაშხიას წასვლის შემდეგ მუშათა ცხოვრების განყოფილების გამგედ გადმოყვანილ იქნა ვასო ნანუაშვილი. როგორც იყო რედაქციაში 1928 წელს დაისვა საკითხი მასობრივ მომუშავედ ერთერთი მუშკორის დაწინაურების შესახებ. ამ თანამდებობაზე მე დამაწინაურეს. ვმუშაობდი როგორც „კომუნისტის", ისე „მუშის" რედაქციაში.

მეც არ ვიცოდი როგორ შემექნა მუშკორთა ორგანიზაციები ცალცალკე რედაქციებისათვის. ამიტომ ასეთ მუშაობაზე უარი განვაცხადე. შემდეგ რედაქტორებიც მიხვდნენ, რომ ერთი კაცის მუშაობა ორივე რედაქციაში უხერხული იყო და, როგორც „კომუნისტის" რედაქციის მიერ წამოყენებული კანდიდატი, „კომუნისტის" რედაქციაში დამტოვეს.

მუშსელკორთა მე-4 საკავშირო თათბირის მოწვევის შემდეგ მუშსელკორთა ხელმძღვანელობას მეტი ყურადღება მიექცა. გაზეთ „კომუნისტმა" მუშა კორესპონდენტებისათვის გამოსცა ალმანახი „ჩირაღდანი". ალმანახ „ჩირაღდანის" დახურვის შემდეგ მუშა მწერლებმა დააარსეს საკუთარი ჟურნალი „მიზანი", რომლის სარედაქციო კოლეგიაში მეც შევდიოდი. „მიზანს" მატერიალურ დახმარებას უწევდა „კომუნისტის" რედაქცია. ამ ჟურნალში გარდა თბილისის მუშებისა, ქუთაისის და ბათუმის მუშებიც თანამშრომლობდნენ. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. მრავალი ახალგაზრდა მუშკორი დაწინაურდა. განსვენებულმა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ წერა დაიწყო გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტობიდან და ჟურნალ „მიზნიდან".

ახლა გაზეთმა „კომუნისტმა" მუშსოფლკორთა შორის მუშაობა მკვიდრ საფუძველზე დააყენა. მუშკორთათვის გახსნილია კურსები, სადაც წარმოებისაგან მოუწყვეტლად მზადდება ძირეული პრესის მუშაკები.

„კომუნისტის" არსებობის 20 წლის თავზე მე, 62 წლის მოხუცი მუშა-კორესპონდენტი, გულითადად მივესალმები ჩვენს გაზეთს და ვუსურვებ უფრო მედგარ ბრძოლას სოციალიზმის საკეთილდღეოდ.

ნიკო იტრიევი

როგორ გავხდი მუშა-კორესპონდენტი

(მოგონება)

მახსოვს 1922 წელი, როცა თელავის რაიონში სოფ. კისისხევის ორგანიზაციაში ვმუშაობდი. მცირემცოდნემ მოკრძალებით მოვკიდე ხელი კალამს და დავიწყე პირველი წერილის წერა. დავწერე წერილი სასოფლო-სამეურნეო არტელის ჩამოყალიბების შესახებ. წერილი დაიბეჭდა მაისში. თუმცა იგი საფუძვლიანად იყო შესწორებული, მაგრამ მე უზომოდ გავიხარე...

ამის შემდეგ ხშირად ვგზავნიდი წერილებს „კომუნისტის" რედაქციაში. მე მივიღე მათგან მეთოდური მითითებანი, თუ როგორ უნდა მეწერა წერილები. ამ დახმარებამ და ჩემმა უსაზღვრო სურვილმა ვყოფილიყავი მუშკორი, ცოტად თუ ბევრად მასწავლეს წერა. ხოლო როცა 1924 წელს თბილისში ჩამოვედი, მე მეტი საშუალება მქონდა დავახლოვებოდი რედაქციას.

რედაქციის მუშაკები დიდად დამეხმარნენ, ხელი შემიწყეს, მასწავლეს. ხშირად ვესწრებოდი სემინარებს, ვიღებდი მითითებებს და მეც ბევრი რამ შევიძინე, გამოცდილება მივიღე.

1926 წელს ჩემთან ერთად სემინარს ესწრებოდნენ ამხანაგები: ვ. ბარბაქაძე, ივ. ნაზარბეკოვი, შ. ნავთლუღელი, გ. ხეჩუაშვილი, ასლამაზაშვილი, იტრიევი და სხვ.

როცა დახმარებამ და სწავლამ შემასწავლეს წერა, მე ისე გავთამამდი, რომ დავიწყე წერილების გზავნა გაზეთ „პრავდაში". „ზარია ვოსტოკაში", გაზ. „მუშაში", რადიოგაზეთში და მთელ რიგ სხვა ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემებშიაც.

აქტიურობისათვის „კომუნისტის" რედაქციამ დამაჯილდოვა ორჯერ. მონაწილეობას ვიღებდი გაზეთების მიერ მოწყობილ რეიდებში, „პრავდის" რეიდში მონაწილეობა მივიღე სამჯერ, „კომუნისტის" რეიდში 23-ჯერ და სხვ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მუშაობამ, სადაც ვმუშაობდი ბრიგადირად, ჩამაყენა სტახანოველთა მოწინავე რიგებში.

მიუხედავად იმისა, რომ მე სკოლის მერხზე არ ვმჯდარვარ, არ მიმიღია ცოდნა სკოლიდან, მაინც დავეუფლე ცოდნას, რის მიღებაშიც დიდად დამეხმარა გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია. ამჟამად სხვა მოწინავე სტახანოველებთან ერთად მეც ამაყად ვატარებ სტახანოველის სახელს.

ვარ ქარხკომის პლენუმის წევრი, ქარხკომის კულტკომისიის თავმჯდომარე, საქვაბე საამქროს პროფკომიტეტის თავმჯდომარე, ვიბრძვი ჩემზე დაკისრებული მოვალეობის ბოლშევიკურად შესრულებისათვის. ცოდნის სურვილი კვლავ უსაზღვროა ჩემში, გულმოდგინედ ვსწავლობ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს, დღემდე დამუშავებული მაქვს 10 თავი.

ვრწმუნდები, რომ სწავლისათვის, ცოდნის მიღებისა და განვითარებისათვის საჭიროა მხოლოდ სურვილი. აღმზრდელი პარტია ყველა საშუალებას გვაძლევს შევისრულოთ ეს სურვილი.

ამჟამად ვსწავლობ შრომის ოსტატთა კურსებზე, სადაც მივიღებ საშუალო ცოდნას.

მოგონებანი უამრავია, მაგრამ მათ შორის მთავარი მაინც ის არის, რომ „კომუნისტის" რედაქციამ აღმზარდა, როგორც მუშკორი.

მუშკორი ი. ზაალიშვილი

შენ ოცი წელი გივლია

(„კომუნისტს")

როცა სიავე მეფობდა
და ღამე სულის მხშობელი,
პრესაც ფარულად იბრძოდა
სიბნელის დამამხობელი.
მუშა სარდაფქვეშ ბეჭდავდა
თვალზე ცრემლშეუშრობელი,
და სულს უდგამდა ლენინი
ხალხის მამა და მშობელი.
ბოლშევიკური ორგანო,
როგორც მეხი და ქუხილი,
იბრძოდა, რომ გაეფანტა
გულის დარდი და წუხილი.
ლენინ-სტალინის პარტიამ
სული ჩაუდგა გმირული,
ლენინთან ერთად ეკვეთა
მტერს, პრესაც პირდაპირული.

შენ ოცი წელი გივლია,
შრომისთვის თავდადებითა,
ახალი ცხოვრებისაკენ
მხურვალე მოწოდებითა.
ეს არის წლები ბრწყინვალე,
ჩვენი ხსნითა და შვებითა.
შენც ამ წლებს გადმოჰყოლიხარ
ბოლშევიკური გზნებითა.
ბოლშევიკური სიტყვისთვის, —
შენთვის — იბრძოდა ბელადი,
ასულა შენი სახელი
კავკასიონის წვერამდი.
ცოდნის უშრეტო სიმდიდრევ,
შუქი მოჰფინე ჩვენამდი;
იუბილიარს შეგშვენის
მიღწევა მრავალფერადი.
შენი ყოველი აბზაცი
გმირობის გამომსახველი,
ვით ლაჟვარდ ცაზე ვარსკვლავი
ბრწყინავდეს შენი სახელი.
ჩვენო მზიურო ორგანოვ,
ბევრს ზრდიდი სასახელოსა.
რომელთა ხმა და ხსენებაც
გასცილდა საქართველოსა.
ისე გაგვითბე გულები,
როგორც მზის სხივნი მდელოსა,
მეც შენ ფურცლებზე ვიზრდები
გიმღერი სადღეგრძელოსა.
წარმატებებით იარე,
გზა გაქვს ბრწყინვალე მზიური,
კვლავაც მკაფიოდ გვიჩვენე
მიღწევა ყოველდღიური.
ცოდნას გვაფრქვევდე სხივებად,
როგორც მნათობი ციური
და კვლავ მგზნებარედ გვიჩვენე
ცხოვრება კოლექტიური.

გელა ლიქოკელი

სოფ. ბარისახო, დუშეთის რაიონი.

გაზეთ „კომუნისტს"

შენ პირველადვე იყავი
შეუდარელი ძალისა,
თავიდან იმ გზას მისდევდი
რომელზეც ევლო სტალინსა.
შენ დაიბადე ბრძოლაში
როს ქროდენ გრიგალ-ქარები,
როს იმსხვრეოდა უწყალოდ
თვითმპყრობელობის კარები,
როს გამძაფრებით იბრძოდნენ
მსოფლიო პროლეტარები.
ამ დროს მოხვედი ქვეყნად და
დაატრიალე მახვილი,
მშრომელს მხნეობას მატებდა
შენი მქუხარე ძახილი.
საბრძოლო მიზნებს სახავდა
შენი პირველი ნომერი,
გულში გიკრავდა, გკოცნიდა
ჩვენი სამშობლოს მშრომელი.
შენ იყავ ბრძოლის გაზეთი
მშრომელთა თვალის ამხელი;
დიდია შენი ნაშრომი,
დიდია შენი სახელი!
შენ შენი დაბადებიდან
საბრძოლო ფრონტზე გახველი,
გახველ და ბრძოლა დაიწყე
ღირსშესანიშნავ სახელით.
სტალინურ „ბრძოლის" მოდგმის ხარ
დიდი პარტიის ნაყოფი,
შენ „ისკრამ" ცეცხლი გადმოგცა
მშრომელთა მტრების დამმხობი.
დიადი იყო, გაზეთო,
შენი გამოსვლა პირველი —
წილად გხვდა გამარჯვება და
წინ წინსვლა გასაკვირველი.
დრო გავიდა და აყვავდა
ჩვენი სამშობლო დიადი
მოისპო ტანჯვა-მონობა
სულ მთლად განქარდა წყვდიადი.
დღეს ჩვენი მხარე ელვარებს,
მხარე, გმირების მჭედელი,
სად სუფევს ბედნიერება
და წინ სვლა დაუშრეტელი,
სად ხალხის კვნესა არ ისმის,
სადაც რომ გაზაფხულია,
სადაც არ არის სიმწარე,
ტკბილად ძგერს ყველას გულია;
სადაც არ არის დაცინვა
და შრომაც დიდებულია.
ცაში ამაყად აწვდილა
ბრწყინვალე კრემლი მზიანი
და იქ ქუხს ჩვენი სტალინი
კაცი ფოლადის ხმიანი
იქ სჭედავს ბრძოლის გრიგალებს
ეს დიდი ადამიანი,
ხალხს გამარჯვება ხვდა წილად
მტრებს კი—ზარი და ზიანი.
ასეთი არის სამშობლო
ჩვენი ქვეყანა ქებული,
მიილტვის კომუნიზმისკენ
ბრძოლაში გამარჯვებული.
შენც გიხარია, რომ იგი
ასეთი მშვენიერია.
ჩვენი სამშობლოს მგოსნები
შენს დიდ ფურცლებზე მღერიან
— „აყვავდი, ჩვენო სამშობლოვ,
სამშობლო ჩვენო მხარეო!
იცოცხლე, დიდო სტალინო,
და ხალხი გაგვახარეო!"
რაც შენ ამ ქვეყნად მოხვედი
დღეს სრული ოცი წელია
ახლაც შენს ყოველს ნომერსა
დიდი ხალისით ელიან
რადგან შენა ხარ მშრომელთა
გაზეთი საყვარელია.

კოლა ნამგალაური

სოფ. თანდილაანთ-კარი, დუშეთის რაიონი.

„კომუნისტისადმი" მიძღვნილი გამოფენა

ლენინგრადი („კომუნისტის" საკ. კორ.). გაზ. „კომუნისტის" არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით ვოროვსკის სახელობის ლენინგრადის ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტის ბეჭდვითი სიტყვის კაბინეტმა მოაწყო „კომუნისტის" ნომრების საუკეთესო გვერდების გამოფენა. გამოფენილ ნომრებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამხანაგ სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავთან და სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებით გამოცემული „კომუნისტის" ილუსტრირებული ნომრები.

„კომუნისტის" ვიტრინა მოეწყო აგრეთვე ლენინგრადის ჟურნალისტის სახლში.

ო. ეგაძე

გაზეთ „კომუნისტის" სახელობის ჭაბურღილი

(წითელწყარო, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

„საქნავთის" მირზაანის სარეწაოს № 117 საექსპლოატაციო ჭაბურღილის მშენებლობა ვადაზე 13 დღით ადრე იქნა დამთავრებული. პირველ ივნისს, მშენებლობის დამთავრებისთანავე, ჩატარდა ჭაბურღილზე მომუშავეთა კრება. მუშების მოთხოვნით № 117 ჭაბურღილს ეწოდა გაზეთ „კომუნისტის" სახელი. ამავე კრებაზე ვალდებულება აიღეს, რომ ბურღვას დაამთავრებენ ვადაზე 20 დღით ადრე.

ვ. ტუხაშვილი

„კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობები

მახარაძე („კომუნისტის" კორ.). მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაიონის აღმასრულებელმა კომიტეტმა დააკმაყოფილა სოფ. მზიანის კოლმეურნეთა საერთო კრების შუამდგომლობა მზიანის კოლმეურნეობისათვის გაზეთ „კომუნისტის" სახელის მინიჭების შესახებ.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მზიანის კოლმეურნეობაში სიხარული გამოიწვია.

მზიანის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთერთ მოწინავე კოლმეურნეობად ითვლება. 1939 წელს ამ კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა. ასევე გადაჭარბებით შეასრულა სხვა გეგმებიც, რის შედეგად კოლმეურნეობამ თვითეულ შრომადღეზე გასცა 12 მანეთი და 40 კაპ. და 1,5 კილოგრამი სიმინდი.

კოლმეურნეობა ენერგიულად იბრძვის გასული წლის მიღწევების შენარჩუნებისა და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ბათუმი, 1 ივნისი (ტელეფონით საკ. კორ.). დღეს საღამოს 8 საათზე, შესდგა სოფ. აგარის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგე ამხ. აპ. გოგოლაძე. მან კრებას აცნობა, რომ გაზეთ „კომუნისტს" 3 ივნისს უსრულდება არსებობის 20 წლისთავი.

კოლმეურნე ხუსეინ ქათამაძის წინადადებით კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება სოფ. აგარის კოლმეურნეობისათვის გაზეთ „კომუნისტის" სახელის მიკუთვნების შესახებ.

„კომუნისტის" კომბინატის სასტერეოტიპო საამქროში მზადდება მუყაოს ანაბეჭდები (მატრიცა), რომელთა საშუალებით ჩამომსხმელი მანქანა ამზადებს საბეჭდი მანქანისათვის სათანადო სხმულებს (სტერეოტიპს) გაზეთის დასაბეჭდად.

სურათზე: „კომუნისტის" კომბინატის სასტერეოტიპო საამქროს გამგე ამხ. **ი. ნადარეიშვილი** და სტერეოტიპიორი ამხ. **ვ. ბუჩუკური** ამზადებენ „კომუნისტის" გვერდს წნეხზე ამოსაღებად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყრილობა

ნიუ-იორკი, 31 მაისი (საკდესი). 30 მაისს ნიუ-იორკში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყრილობა, რაც 4 დღეს გაგრძელდება. გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ ყრილობას ესწრება 4.300 დელეგატი 48 შტატიდან, აგრეთვე ალიასკიდან და ჰავაის კუნძულებიდან. დელეგატთა უმრავლესობას შეადგენენ მრეწველობის მუშები, ბევრია აგრეთვე ფერმერი. დელეგატებს შორის ბევრი ზანგია.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გამოვიდა გენერალური მდივანი ბრაუდერი. მან წარმოადგინა პროგრამა, რომლითაც პარტია გამოვა პრეზიდენტის არჩევნებში. პროგრამაში აღნიშნულია, რომ დაძაბულ ბრძოლას მოითხოვს ის ამოცანა, რომ თავიდან იქნას აცილებული ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა ომში. საჭიროა მიაღწიოთ იმას, რომ შესწყდეს ამერიკის საომარი მასალების გაყიდვა საზღვარგარეთ. პროგრამა ითვალისწინებს ფილიპინის კუნძულებისა და პორტორიკოსათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭების, ხელფასის მინიმუმისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის კანონის გაფართოების, აგრეთვე ფართო მასების საარსებო დონის გადიდების მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებისა და მუშათა დემოკრატიული უფლებების გაფართოების მოთხოვნას.

ინგლისის კომპარტიის 20 წლისთავი

ლონდონი, 1 ივნისი (საკდესი). გასულ კვირას ინგლისის კომპარტიამ იდღესასწაულა თავისი 20 წლისთავი. ცენტრალური კომიტეტი სპეციალურ მიმართვაში იძლევა კომპარტიის ბრძოლის ისტორიულ მიმოხილვას და მოუწოდებს პარტიის ყველა ორგანიზაციებს მოაწყონ ფართო მასების ინტერესთა დაცვა და გააძლიერონ მუშაობა პოლიტიკური აღზრდის ხაზით.

ამერიკელ ფერმერთა მდგომარეობა

ვაშინგტონი, 30 მაისი (საკდესი). 27 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრმა უოლესმა სენატის ასიგნებათა კომისიაში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ომმა კატასტროფული გავლენა იქონია ამერიკელ ფერმერთა უღარიბეს ფენებზე და გვიქადის, რომ შეიქმნება სასოფლო მეურნეობის უმიწაწყლო უმუშევარ მუშათა უდიდესი ახალი არმია. უოლესის სიტყვით, 1.700 ათასი ფერმერის ოჯახი ომამდე 3 წლის განმავლობაში უაღრეს სიღარიბეს განიცდიდა. მათ შორის მრავალი ათასი შიმშილობს. სავსებით აუტანელია სანიტარული პირობები, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ. მრავალი მათგანი მიწიდან აჰყარეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გამო, და ისინი შარა გზებზე დაძრწიან და შემთხვევითს სამუშაოს დაეძებენ. ამ ადამიანთა უმეტესობამ დაჰკარგა ყოველივე იმედი, მათ შორის ძლიერდება უკმაყოფილება და აღარ აქვთ რწმენა არსებული სისტემისადმი. „თუ ამ ადამიანებს დახმარება არ აღმოვუჩინეთ,—განაცხადა უოლესმა, — მათი არსებობის აუტანელ პირობებს შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ამერიკის დემოკრატიას". ევროპაში ომის დაწყების შემდეგ, ამ ადამიანთა არსებობის პირობები უფრო გაუარესდა, ვინაიდან შარშანდელი სექტემბრიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი 20 პროცენტით შემცირდა. უოლესი მოუწოდებდა საჩქარო დახმარების აღმოჩენისაკენ და აცხადებდა, თუ ეს უახლოეს ხანში არ გაკეთდა, მოხეტიალე მუშათა არმია სერიოზულ პრობლემად გადაიქცევაო. უოლესმა აღნიშნა, რომ ამჟამად მოიპოვება კიდევ მილიონნახევარი ფერმერთა ოჯახი, რომელნიც დღეს არა—ხვალ შეავსებს ასეთ უსახლკარო უმუშევართა არმიას, ვინაიდან ევროპაში წარმოებული ომი დღითი-დღე ამრავლებს ამ იმედდაკარგულ ოჯახთა რიცხვს.

რუზველტის წინადადება კონგრესისადმი

ნიუ-იორკი, 31 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, რუზველტმა თხოვნით მიმართა კონგრესს ნება დართოს, რათა მოეწყოს იმ 300 ათასი უმუშევარი ახალგაზრდის სწავლება, რომელიც ამჟამად საზოგადოებრივ სამუშაოებზე მუშაობს. მიმართვაში ნათქვამია, რომ სწავლებას არ ექნება სამხედრო ხასიათი, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს არმიისა და ფლოტისთვისო.

ინგლისელი ქალების მოძრაობა მშვიდობიანობის სასარგებლოდ

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). გრეიტ-იარმუტის ინგლისელ ქალთა კოოპერატიული გილდიის ყოველწლიურ კონფერენციაზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ „ინგლისის მუშები, ისე როგორც სხვა ქვეყნების მუშები, კარგს არაფერს არ უნდა მოელოდნენ ახლანდელი ომისაგან".

კონფერენცია მთავრობას მოუწოდებს შესწყვიტოს ომის პოლიტიკა. გარდა ამისა, დელეგატებმა პარლამენტის წევრებს — ლეიბორისტული და კოოპერატიული პარტიების წარმომადგენლებს — წინადადებით მიჰმართეს დაჟინებით მოსთხოვონ მთავრობას, რომ მან არავითარ რეპრესიას არ მიჰმართოს მშვიდობიანობისა და დემოკრატიის დამცველთა წინააღმდეგ".

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატაში კონსერვატორი ლიტლი შეეკითხა პრემიერ-მინისტრს: „მზად არის თუ არა მთავრობა დაგვარწმუნოს, რომ იგი გამოიყენებს ყოველგვარ საშუალებას იმისათვის, რათა უზრუნველჰყოს ჩრდილო-ირლანდიის უშიშროება ყოველგვარი შესაძლო მტრის წინააღმდეგ". მთავრობის სახელით მას პასუხი გასცა ეტლიმ, რომელმაც განაცხადა, რომ „ინგლისის მთავრობა ჩრდილო ირლანდიის მთავრობასთან სრული თანამშრომლობით შეეცდება ყოველი ღონით უზრუნველჰყოს ჩრდილო ირლანდიის დაცვა".

ბელგიის პარლამენტის სხდომა

პარიზი, 31 მაისი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო ლიმოჟიდან (ზემო ვიენის დეპარტამენტი) იუწყება, „ბელგიის პარლამენტის სხდომაზე განცხადებულ იქნა, რომ ბელგიის ჯარის ერთმა ნაწილმა უარი განაცხადა დამორჩილებოდა ბრძანებას კაპიტულაციის შესახებ".

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „დღეს ბელგიის პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის დეკრეტი, რომელშიც გამოცხადებულია: მეფე ლეოპოლდს, რამდენადაც იგი მტრის ხელშია, აღარ შეუძლია ქვეყნის მართვაო".

ავსტრალიის თვითმფრინავები ინგლისისათვის

ლონდონი, 30 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ავსტრალიის მთავრობამ გადასწყვიტა გადასცეს ინგლისის მთავრობას „ლოკიდ ჰადსონის" ტიპის 49 თვითმფრინავი, რომლებიც ავსტრალიამ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუკვეთა.

ჰოლანდიიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეზიდვა გერმანიაში

ბერლინი, 30 მაისი (საკდესი). როგორც „ფელკიშერ ბეობახტერი" სწერს, გერმანიასა და ჰოლანდიას შორის გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა მყარდება. ამ უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით გადიდდა ჰოლანდიიდან გერმანიაში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შემოზიდვა. გაგზავნილია 250 ვაგონი ნორჩი ბოსტნეული.

მძიმე სასურსათო მდგომარეობა ესპანეთში

ბერლინი, 31 მაისი (საკდესი). გაზეთმა „ფელკიშერ ბეობახტერმა" დღეს მოათავსა ესპანეთში მყოფი თავისი კორესპონდენტის ცნობა სათაურით „მადრიდი უპუროდაა". კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პურის მომარაგების სიძნელენი ესპანეთში კიდევ უფრო გამწვავდა. 29 მაისს მადრიდში პური სულ არ იყიდებოდა".

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში საომარი მოქმედება უმთავრესად ძაოსიანის რაიონში გრძელდება. მაგრამ დიდი ბრძოლა ამ რაიონში ბოლო დროს არ ყოფილა იმის გამო, რომ ორივე მხარის ჯარები საგრძნობლად დაზარალებული და დაქანცული არიან.

ჩინეთის ჯარის ოპერაციების მიზანია დაამთავროს იაპონელთა გარემოცვა ძაოსიანის რაიონში, მოსწყვიტოს ისინი მათს ბაზებს და არ დაუშვას იაპონელთა რეზერვების მოსვლა.

ხენანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში სინიანის რაიონში ბრძოლა დამთავრდა იაპონელების მიერ ქალაქის ხელში ჩაგდებით. ამჟამად მდგომარეობა ამ სექტორში სტაბილიზებულია.

სამხრეთ ჩინეთში

იაპონიის შეტევა კანტონის რაიონში ჩინეთის ჯარმა მოიგერია.

კანტონის ჩრდილოეთით, ცუნხუადან 25 კილომეტრზე ჩინელებს კვლავ გარშემორტყმული ჰყავთ იაპონიის ჯარის დიდი შენაერთები. 28 და 29 მაისს იაპონიის ჯარმა ყუმბარმშენებისა და კვამლსაფარის შემწეობით სცადა ალყის გარღვევა, მაგრამ ჩინეთის ჯარის მოქმედების მეოხებით ეს ცდა უნაყოფო გამოდგა. 200-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი მოკლულ იქნა მიშუის რაიონში და 500-მდე ჯარისკაცი—ლიანკოუს აღმოსავლეთით.

31 მაისი (საკდესი).



სოხუმი. ქალაქის საბჭოს ბაღი

პულკოვოს ობსერვატორია

(დაარსებიდან 100 წლისთავის გამო)

ასმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც დაარსდა პულკოვოს ასტრონომიული ობსერვატორია,—ეს სახელგანთქმული სამეცნიერო დაწესებულება, რომელმაც თავისი მნიშვნელობით და დამსახურებით მეცნიერების წინაშე საქვეყნო სახელი მოიპოვა.

პულკოვოს ობსერვატორიას ასი წლის ისტორია აქვს. თავისი ისტორიის პირველი ასეული წელი პულკოვოს ობსერვატორიამ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში დაასრულა, რამაც მისი ასი წლის ისტორია ახალი გამარჯვებებით დააგვირგვინა და რაც მას მომავალში ახალ წარმატებებს, ძლიერ მეცნიერულ აღმავლობას უქადის.

პულკოვოს ობსერვატორიის ასი წლის იუბილე დიდ მოვლენას წარმოადგენს ასტრონომიის და, საერთოდ, მეცნიერების ისტორიაში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემია ამ თარიღის აღსანიშნავად იწვევს სპეციალურ სამეცნიერო სესიას, რომელიც ქ. ლენინგრადში გაიხსნება 3 ივნისს.

პულკოვოს ობსერვატორია დაარსდა უვიცობით და სასტიკი დესპოტიზმით ცნობილი მეფის ნიკოლოზ 1-ის დროს.

იმპერიის მმართველნი, აარსებდნენ რა პულკოვოს ობსერვატორიას,—გამოდიოდნენ მხოლოდმხოლოდ ვიწრო პრაქტიკული მიზნებიდან; ისინი საჭიროებდნენ ისეთ დაწესებულებას, რომელიც დახმარებას აღმოუჩენდა ახალი მიწების დაპყრობისა და ათვისების, ახალი სავაჭრო ან სამხედრო გზების გაყვანის საქმეში.

პულკოვო მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა ყველა გეოდეზიურ და გეოგრაფიულ გამოკვლევას, ეხმარებოდა კარტოგრაფიის საქმეში ჰიდროგრაფიულ და სამხედრო უწყებებს, ამზადებდა სამხედრო და სამოქალაქო გეოდეზისტთა კადრებს.

პულკოვოს ობსერვატორიის პირველმა დირექტორმა ვ. სტრუვემ შესძლო იმთავითვე დაეყენებინა ობსერვატორიაში ისეთი სამეცნიერო ამოცანები, რომელნიც პულკოვოს პრაქტიკული დანიშნულების საქმესაც ხელს შეუწყობდნენ და, ამავე დროს, ობსერვატორიის დიდ წმინდა მეცნიერულ მოღვაწეობასა და გაქანებას უზრუნველჰყოფდნენ.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლომდე ასტრონომების ინტერესი არ სცილდებოდა ჩვენი პლანეტური ოჯახის ანუ მზის სისტემის ფარგლებს.

XVIII საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა ასტრონომიის ახალ დარგს—საავარსკვლავო ასტრონომიას. ეს ახალი დარგი პირველ რიგში მოითხოვდა ვარსკვლავთა საკუთარი მოძრაობის შესწავლას, ხოლო ამისათვის საჭირო იყო მოცემული ვარსკვლავების ზუსტი მდებარეობის ცოდნა.

ამგვარად წამოიჭრა საჭიროება ვარსკვლავების მდებარეობის ფუნდამენტალური კატალოგის შექმნისა.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას შეუდგა პულკოვოს ობსერვატორია ვ. სტრუვეს ხელმძღვანელობით.

შესრულებულ დაკვირვებათა საფუძველზე პულკოველმა ასტრონომებმა შექმნეს ვარსკვლავთა მდებარეობის უზუსტესი კატალოგები, რომლებმაც პულკოვოს საქვეყნო სახელი მოუპოვეს.

XIX საუკუნის დასასრულს, როცა ასტრონომიაში ფართოდ იწყეს ახალი, ფიზიკური მეთოდების გამოყენება, პულკოვოს ისტორიაში ახალი პერიოდი დაისახა. ეს პერიოდი აღნიშნულია სახელგანთქმული აკადემიკოსის ა. ბელოპოლსკის ბრწყინვალე სპექტრალური ექსპერიმენტებით, ს. კოსტინსკის უაღრესად ზუსტი ასტროფოტოგრაფიული განსაზღვრებით, გ. ტიხოვის ორიგინალური კოლორიმეტრული ცდებით, თ. ბრედიხინის მწყობრი თეორიებით კომეტებისა და მეტეორული ნაკადების შესახებ და სხვ.

მაგრამ პულკოვოს ობსერვატორია, რომელიც რევოლუციამდელი რუსეთის სხვა სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან ერთად დიდ გაჭირვებას და დეპრესიას განიცდიდა, მაინც ჩამორჩა საერთაშორისო ასტრონომიულ მეცნიერებას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და პულკოვოს ობსერვატორიაც კვლავ, და ამჟამად უკვე შეუჩერებელი აღმავლობის პერიოდში გადავიდა.

პულკოვოს ობსერვატორიამ მიიღო ახალი ხელსაწყოები, რამაც საშუალება მისცა მას გაეფართოვებინა დასახული ამოცანები და წამოეწყო ახალი სამუშაოები, ახალი თემატიკით. პულკოვოს ობსერვატორიამ წარმატებით განაგრძო თავისი ტრადიციული პრობლემების შესწავლა-გამოკვლევა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მან საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ დარგებს, რომელთაც იწყეს სწრაფი განვითარება. განმტკიცებულ იქნა ე. წ. დროის სამსახური, რომელიც მთელ ჩვენს სახელმწიფოს უწევს მომსახურებას, შემოღებულ იქნა ე. წ. მზის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს გამოარკვიოს მზეზე მიმდინარე პროცესების დედამიწის მოვლენებზე (მაგნეტიზმი, რადიო-გადაცემა და სხვ.) გავლენის მექანიზმი, რასაც მეცნიერულ-თეორიული ინტერესის გარდა, უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მრავალი დარგისათვის.

პულკოვოს ობსერვატორიის კადრები შეივსო ახალი ძალებით, რომელნიც საბჭოთა მეცნიერული ახალგაზრდობის ენტუზიაზმით ეწევიან სამეცნიერო მოღვაწეობას.

ეს ძალები — შეიარაღებულნი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით — უზრუნველჰყოფენ საბჭოთა მეცნიერების შემდგომ წინსვლას, უსასრულო სამყაროს წიაღების საიდუმლოებათა ამოცნობას, საერთაშორისო მეცნიერული ძალების ახალი, საბჭოთა იდეების ფერხულში ჩაბმას და ასტრონომიული მეცნიერების რევოლუციურ გარდაქმნას დიადი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განმტკიცებისათვის.

ევგენი ხარაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

3 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მოსკოვის მათემატიკური საზოგადოების პრეზიდენტი, ორდენოსანი პროფესორი **პ. ს. ალექსანდროვი** წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: — „თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ძირითადი მიმდინარეობანი".

შესვლა თავისუფალია.

დამთავრდა ბავშვთა თვითმოქმედების საქალაქო ოლიმპიადა

ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების თბილისის საქალაქო ოლიმპიადა დასრულდა გუშინ წითელი არმიის სახლის საბავშვო კლუბის ანსამბლების გამოსვლით. ოლიმპიადის უკანასკნელმა საღამომ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. ანსამბლების გამოსვლამ დაგვანახვა, რომ წითელი არმიის სახლი სერიოზულ, დიდ შემოქმედებითს მუშაობას აწარმოებს ბავშვებს შორის.

წარმატებით ჩატარდა ინსცენირება „გორის ცის ქვეშ". სცენა წარმოადგენს გორის ციხეს, სადაც თავი მოუყრიათ ბავშვებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და სტალინის სახლის დათვალიერების შემდეგ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. საინტერესოდ გვიამბეს ბავშვებმა სტალინის ბავშვობისა და ყრმობის ამბები, გვიჩვენეს ჭიდაობა, ფერხული, ხორუმი, ლეკური, [illegible]ხა". ინსცენირებაში 70 ბავშვი მონაწილეობდა.

საყურადღებო იყო საბალეტო ნომრები — „გაზაფხული", კომიკური „პოლკა", რუსული ხალხური ცეკვა, „ჩვენი ახალგაზრდობა" სიმღერებითა და ცეკვით. კარგად ჟღერს ნეაპოლიტანური ორკესტრი. დიდი ექსპრესიით წაიკითხა ვალ. ახვერდოვმა ნაწყვეტი ვს. ვიშნევსკის რომანიდან.

ამავე საღამოს მოსმენილ იქნენ წინა საღამოებზე გამოჩენილი შემსრულებელნი — რივა რეიზნერი, დ. მაისურაძე, ე. მირზოევი, ლ. ცუკაშვილი და დეკანოსიძე.

დღეს საღამოს ჟიურის სხდომაა, შერჩეული იქნებიან საუკეთესონი ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარსაგზავნად.

ახალი სახსრები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის

თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის რაიონულ საბჭოებს შორის გაანაწილა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გადადებული 500.000 მანეთი. ამ თანხიდან ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს რაიონში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გასაშლელად გამოუყვეს 300.000 მანეთი, სტალინის რაისაბჭოს აღმასკომს — 15.000 მანეთი, ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს—35.000 მანეთი, ბერიას რაისაბჭოს აღმასკომს—15.000 მანეთი, მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომს—100.000 მანეთი, კიროვის რაისაბჭოს აღმასკომს — 20.000 მანეთი და 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომს—15.000 მანეთი.

აღნიშნული თანხებით აღმასკომებმა პირველ რიგში უნდა დააკრედიტონ ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იწყებენ ინდივიდუალური ბინების აგებას. ამასთანავე აღმასკომებს დავალებული აქვთ უახლოეს ხანშივე წარადგინონ განცხადებები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალის რაოდენობის შესახებ.

კრედიტების მიმღებმა მშრომელებმა სახლების აგება წელსვე უნდა დაიწყონ.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი

შესდგა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი, რომელიც არჩეულია კავშირის მეორე ყრილობაზე.

გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. ქ. გიორგაძე. გამგეობის პრეზიდიუმში შევიდნენ ამხ. ქ. გიორგაძე, ი. ვეფხვაძე, ნ. კანდელაკი, ს. ქობულაძე და შ. მამალაძე.

კავშირის გამგეობასთან ჩამოყალიბებულია სექციები: ფერწერისა (ხელმძღვანელი ამხ. ი. ვეფხვაძე), ქანდაკებისა (ამხ. ნ. კანდელაკი), გრაფიკისა (ამხ. ს. ქობულაძე) და კრიტიკისა (ამხ. შ. მამალაძე). (საქდესი).

ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლი-მუზეუმი სოფ. მაიაკოვსკში

29 მაისს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სოფელ მაიაკოვსკში (ყოფილი ბაღდათი) ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლი-მუზეუმის მოწყობის საკითხი.

პრეზიდიუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გაგზავნოს სოფელ მაიაკოვსკში კომისია ამხ. ი. აბაშიძის მეთაურობით და დაავალოს მას შეიძინოს კუჭუხიძეებისაგან სახლი, რომელშიც დაიბადა და ცხოვრობდა ვ. ვ. მაიაკოვსკი.

სახლი გადატანილი იქნება წინანდელ ადგილზე, ბაღდათის ძველი სიმაგრის რაიონში, და აღდგენილი იქნება წინანდელი სახით.

პრეზიდიუმმა დაადგინა შეუდგეს ამ სახლში ვ. ვ. მაიაკოვსკის მუზეუმის მოწყობას. (საქდესი).

სამღერძიანი ავტობუსი ლუქსი

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ავტოსარემონტო სახელოსნოებმა გამოუშვეს მშვენივრად მოწყობილი სამღერძიანი დახურული ავტობუსი ლუქსი. ამ ავტობუსის მონტაჟი გაკეთებულია „ზის—8"-ის რამდენიმედ შეცვლილ შასზე. შასის რეკონსტრუქციისა და ძარის მოწყობის სამუშაო მთლიანად სახელოსნოებშია შესრულებული.

ავტობუსი ლუქსი საწვავი მასალისა, რეზინისა და სხვ. მნიშვნელოვანი ეკონომიის საშუალებას იძლევა. ამ ავტობუსის საბურავები დაახლოებით ერთი-ორად უფრო მეტ ხანს სძლებს, ვიდრე სხვა ავტობუსების საბურავები, რომლებიც ამავე მიზნისათვის არის დანიშნული.

ახალი ავტობუსი ლუქსი, რომელიც 50 კაცს იტევს, გამოყენებული იქნება ძველი გაგრის—და ახალი გაგრის საკურორტო ხაზზე. (საქდესი).

განსახკომის ლექტორიუმში

2 ივნისს, საღამოს 8 საათზე, განსახკომის ლექტორიუმში (საქ. მუზეუმის სალექციო დარბაზში) შესდგება პროფ. მ. გოგიბერიძის მორიგი ლექცია თემაზე:—„საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები".

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ჯამბაზები", „ყივჩაყური ცეკვები", **რუსთაველის სახელობის** — „გრაფის ქვრივი", **გრიბოედოვის სახელობის** — „საშინელი სამსჯავრო", **სახესტრადის საზაფხულო თეატრი** — ლენინგრადის ოპერეტის ოსტატთა სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები „ოთხი შეცდომა", „მექსიკელი ქალის გული", **ღია ესტრადა** — ესტრადის მსახიობთა საღამო კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „დაგვიანებული სასიძო", **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა", **დამკვრელი** (საზაფხულო) — „დაგვიანებული სასიძო", **დამკვრელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო", **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დაგვიანებული სასიძო", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო", **ლუქსემბურგის სახ.** — „მეთაურთა ახალგაზრდობა", **26 კომ. სახ.** — „კენდლილიარ", **კომინტერნი** — „მშვენიერი ვასილისა", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ობლად მოსჩანს თეთრი იალქანი", **ახალი ამბები** — „აბრეშუმეულობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი



შემნახველი სალარო
იხდის
ვადიან ანაბარზე
5%
წლიურად
თუ ანაბარი ინახება არა ნაკლებ, ვიდრე
ექვსი თვით
ვადიანი ანაბარის ექვს თვემდე გატანის შემთხვევაში მეანაბრეს მიეცემა 3% წლიურად.
ვადიან ანაბარზე ვრცელდება ყველა შეღავათი და უპირატესობა, როგორც ჩვეულებრივ ანაბარზე (ანაბრის საიდუმლოების დაცვა, საანდერძო განკარგულების უფლება და სხვ.).
შეინახეთ თქვენი ფული
შემნახველ სალაროში
საქ. შემსალაროთა და სახ. კრედიტის სამმართველო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
აცხადებს,
რომ 1940 წლის 17 ივნისს, დღის 2 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც ფაკულტ. ქირურგ. კლინიკის ასისტენტი ექ. **ნიკოლოზ იოსების-ძე ჭიჭინაძე** მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თანამედროვე ანტისეპტიკის საველე პირობებში გამოყენების საკითხისათვის".**
ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ქ. ერისთავი** და პროფ. **ე. ზაქარაია.**
25 ივნისს, დღის 2 საათზე, იმავე აუდიტორიაში სტომატოლ. ინსტიტუტ. ქირურგიული კათედრის ასისტენტი **ნიკოლოზ პავლეს-ძე იზაშვილი** მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კლინიკური დაკვირვებანი ბაქტერიოფაგის თერაპიულ მოქმედებაზე ზოგიერთი ჩირქოვანი პროცესების დროს".**
ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. **ალ. წულუკიძე** და დოც. **ვლ. ანთაძე.**
მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12). 200

საქ. ს. ს. რ. ფინსახკომი
თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმი
აცხადებს **საშემოდგომო მიღებას** პირველ კურსზე
1940/41 სასწ. წლისათვის.
ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებს:
საბიუჯეტო, სახშემოსავლების, საგადასახადო, სახ. დაზღვევის, შემსალაროს და საბანკო დარგებში ინსპექტორების და ბუხჰალტრების თანამდებობებზე:
ტექნიკუმის კურსდამთავრებულთ ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება.
მეცადინეობა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.
ტექნიკუმში მიიღება ორივე სქესის პირი 15-დან 25 წლამდე საშუალო სკოლის 7 კლასის კურსდამთავრებული
მისაღები გამოცდები იწარმოებს 19-დან 27 აგვისტომდე შემდეგ დისციპლინებში: ქართული (წერა-ზეპირი), რუსული (წერა-ზეპირი), მათემატიკა (წერა-ზეპირი), გეოგრაფიაში და ს. ს. რ. კ. კონსტიტუციაში.
ფრიადოსნები ტექნიკუმში მიღებული იქნებიან უგამოცდოდ.
განცხადებათა მიღება იწარმოებს 1 ივნისიდან 15 აგვისტომდე.
განცხადებას უნდა დაერთოს: 7 კლასის დამთავრების მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოგრაფიული სურათი (უქუდოდ გადაღებული და საკუთარი ხელმოწერით), პასპორტი (წარმოადგენს პირადად) და ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.
ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიით საერთო წესით.
განცხადებათა მიღება და ცნობების გაცემა იწარმოებს საღამოს 5-დან 10 საათამდე.
მისამართი: თბილისი, სახკომსაბჭოს ქ. № 2.
ტელეფ. № 3-72-43.
1949 დირექცია.

სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელეფ. 3-18-50
2 და 3 ივნისს **საზაფხულო თეატრი**
ლენინგრადის ოპერეტის ოსტატთა სახელმწიფო ანსამბლის უკანასკნელი გასტროლები.
1. **ოთხი შეცდომა** ოპერეტა 1 მოქ.
2. **მექსიკელი ქალის გული** ოპ. 1 მოქმ.
4, 5, 6 ივნისს
მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა **ცეკვებისა და სიმღერების** სახ. ანსამბლის გასტროლები.
მხატვ. ხელმძღ. ტ. ალთუნიანი.
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
ღია ესტრადა
2, 3 ივნისს
ესტრადის მსახიობთა
საღამო-კონცერტი
დასაწყისი 10 საათზე
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
9 და 10 ივნისს ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის
ქეთო ჯაფარიძის გამოსათხოვარი საღამოები.
ბილეთები იყიდება. სალარო ღიაა დილის 11-დან 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე. 80

თანახმად ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წლის 23 მაისის დადგენილებისა, ხდება ამავე რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო სახელოსნოს
ლიკვიდაცია.
პრეტენზიები მიიღება ა. წ. 10 ივნისამდე.
ლიკვიდკომი იმყოფება ორჯონიკიძის ქ. № 49.
6626 ლიკვიდკომი.

დონია, ვალიკო ქავთარაძეები, სოფიო, არჩილ გრიგორაშვილები იუწყებიან
გიორგი დავითის-ძე კილაძის
გარდაცვალებას. 6625

შვილი ნატო, შვილიშვილები: თამარა, მიშა, გოგი და მერი ჭიჭიკოშვილები, იუწყებიან დაუვიწყარ
სოფიო ჭინჭარაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა, თელავის რაიონი ს. ფშაველში 3 ივნისს.

მეუღლე ანა, შვილი ირაკლი იუწყებიან
გიორგი დავითის-ძე კილაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VI 7 ს. მოსკოვის, 20, დაკრძალვა 3/VI 5 ს. 6625

აღმზრდელი რძალი პელაგია, ძმისწულები თამარ, ფილიმონ, გივი კილაძეები, სიძე ჯუმბერ ნიჟარაძე შვილით ნუგზარით იუწყებიან
გიორგი დავითის-ძე კილაძის
გარდაცვალებას. 6627

ივანე და ოლღა ბერიტაშვილები, ა. ზურაბაშვილი, პ. ქომეთიანი, დ. გედევანიშვილი, ა. ბრეგაძე, ა. ბაკურაძე, ლ. ცქიფურიძე, ნ. ჭიჭინაძე, ნ. ბებურიშვილი, მ. ახმეტელი, ი. და ქ. ძიძიშვილები თანაუგრძნობენ პროფ. ე. ზაქარაიას მისი მეუღლის
ტატიანას
გარდაცვალების გამო. 50

შვილები კვატია, მაშიკო, ექიმი ელენე შეყლაშვილები, გაზრდილი გოგუცა იუწყებიან
სიდონიას
გარდაცვალებას. 6600

მეუღლე ტასიკო, შვილები მიხეილ, ანტონ, ვერიკო, ნადია, ლუბა, მედეია, რძლები, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან
ექვთიმე გლახოს-ძე კვირიკაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4/VI ზესტაფონში. 6612

უნივერსიტეტის ლიტკაბინეტის თანამშრომლები ს. იორდანიშვილი, ეკ. ცხვირავაშვილი, ნ. ჩხენკელი, თ. მამფორია, ი. უზნაძე, ქ. ანანიაშვილი, ჭ. ლამბაშიძე, ქ. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი იუწყებიან ქეთევან ცხადაძის ძმის
დავით ცხადაძის
გარდაცვალებას. 6613

მშობლები საშა, ხვთისო, დები თამარ, ლიდა, მარგალიტა, ძმა შოთა კრაწაშვილები იუწყებიან, რომ 6 ივნისს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
შალიკო კრაწაშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 6614

საქ. ჯანსახკომის ონკოლოგიური საავადმყოფოს ადმინისტრაცია იუწყება ამავე საავადმყოფოს დირექტორის პროფ. ეფ. ზაქარაიას მეუღლის
ტატიანა ზაქარაიას
გარდაცვალებას. 6624

მშობლები ალფეზ, ნინო, ძმები მალაქია, შალვა, მიშა ცოლებით იუწყებიან, რომ 3/VI 5 ს. ს. წერში (რაჭა) დანიშნულია
ვახტანგ კერესელიძის
პანაშვიდი. 6616

შვილები აპოლონ, გერონტი, ვანო ცოლშვილით, ლიდია, ვერა, ვალია ქმარშვილით, რძალი ალათი შვილებით იუწყებიან
ოლღა პეტრეს-ასულ ცხონდია-გოკუჩავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VI ქ. ცხაკაიაში. 6617

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ორტოპედიულ-ტრავმატოლოგიური განყოფილების თანამშრომლები პროფ. ცხაკაია, ექიმები ქურდიანი, გურგენიძე, კიკაბიძე, ჩიტიშვილი, ქოიავა იუწყებიან პროფ. ზაქარაიას მეუღლის
ტატიანას
გარდაცვალებას. 6618

მამიდა ბატუ ოდიშარია, მამიდაშვილები საშა, თამარ, სიმონ, მედეა, რძლები მარიამ, ეკატერინე, სიძე გიორგი ახვლედიანი იუწყებიან
ტატიანა ბესარიონის-ასულ ზაქარაიას
გარდაცვალებას. 6621

დედა ქეთო, ცოლი პარა, შვილები იზოლდა, ბოჩია, ძაბა, ძმები ივანე, ლავრენტი, რძალი დუნია იუწყებიან
კონდრატე ისლამის-ძე ჯოლოხავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VI ს. ორულში (ზუგდიდის რ.). 6619

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—200